აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№23 (25.151) 21 ივნისი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ბათუმი ჭადრაკში მსოფლიო თასს მასპინძლობს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

22 ივნისიდან 3 ივლისამდე ჩვენი ქალაქი ფიდეს მსოფლიო თასს უმასპინძლებს ჭადრაკში 8-12 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ღონისძიება პირველად ტარდება და მისი სულისჩამდგმელი ფიდეს სპეციალურ დავალებათა დირექტორი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი აკაკი იაშვილია

ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერებია: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სპორტის დეპარტამენტი, მხარდამჭერი - ქალაქ ბათუმის მერია.

ღონისძიებაში მსოფლიოს 40 ქვეყნის 300-მდე მოჭადრაკე მონაწილეობს. თითოეულ კატეგორიაში მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრულია ტურნირის დებულებითა და ფიდეს მიერ დადგენილი კვოტებით. შეჯიბრება ორ ეტაპად ტარდება.

პირველი ეტაპი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ჩატარდება, მეორე ეტაპზე ერთმანეთს თითოეული ჯგუფიდან ერთსა და იმავე ადგილზე გასული მოჭადრაკეები შეხვდებიან. თითოეულ კატეგორიაში გამარჯვებული სამი საუკეთესო მოჭადრაკე დაჯილდოვდება თასით, მედლით, დიპლომით, ასევე, ფასიანი საჩუქრით (მაქბუქით, აიფონითა და აიპადით)

ჩემპიონატი სასტუმრო „ეიფორიაში“ 14 საათსა და 30 წუთზე გაიხსნება, ხოლო 2 ივლისს, 20 საათზე დაიხურება.

„ოცნების ქალაქში“ ბინების გადაცემა გრძელდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

„ოცნების ქალაქში“ ამ დრომდე წილისყრის მეთოდით ბინები 450-მდე ოჯახს გადაეცა. საცხოვრებელი ფართების განაწილების პროცედურა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა. ბინების განაწილების პროცესი კვირის ბოლომდე დასრულდება. ჯამში, პირველ ეტაპზე ბინას 582 ოჯახი მიიღებს. აღნიშნული ოჯახები ცხოვრებას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აშენებულ სამ მრავალსართულიან კორპუსში გააგრძელებენ. ბინების მშენებლობა და კეთილმოწყობა უკვე დასრულებულია

- „ოცნების ქალაქის“ ახალაშენებულ კორპუსებში მოსახლეობისთვის ბინების განაწილების პროცედურა მიმდინარეობს, თითოეული ოჯახი თავიანთი ბინის ნომერს და ადგილმდებარეობას გებულობს. წილისყრა უკვე ჩატარებულია მრავალწევრიანი ოჯახებისათვის. დღეს კი სამწევრიანი ოჯახებისთვის ჩატარდა. მოგეხსენებათ, ამ კორპუსებში სულ 582 საცხოვრებელი ბინაა, დღეის მდგომარეობით, წილისყრაში მონაწილეობა 450-მა ოჯახმა მიიღო, - აღნიშნა აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძემ.

- პირველი ხის შენობა „ოცნების ქალაქში“ მე ჩავდგი და დღემდე იქ ვცხოვრობ. მყავდა ერთი მცირეწლოვანი შვილი, შემდეგ კიდევ ორი შვილი შეგვეძინა. არ იყო კარგი პირობები, მაგრამ ვუძლებდით. დღეს ძალიან გახარებული ვარ, ყურადღება მოგვაქციეს და თავშესაფარი მოგვცეს. მადლობას ვუხდი ყველას, - გვითხრა ჯუმბერ გელაძემ.

- 2012 წლიდან „ოცნების ქალაქში“ ვცხოვრობთ, იქ გამოვზარდე შვილები, 4 ბიჭი მყავს. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავით, უწყლოდ, უშუქოდ, მაგრამ ღმერთს მადლობა, გვიპატრონეს და აქამდე მოგვიყვანეს. ძალიან კმაყოფილი ვართ, რომ არ დავრჩით უყურადღებოდ, - თქვა ემინე გუნდაძემ.

- ძალიან ცუდ პირობებში ვცხოვრობდით, უზომოდ გახარებული ვარ, რომ ხუთწევრიან ოჯახს თავშესაფარი მოგვცეს. მადლიერი ვარ ყველასი, ვინც წვლილი შეიტანა ამ საქმეში. - გვითხრა მიხეილ მყავანაძემ.

კრივის საერთაშორისო ტურნირი – აჭარაში

გუშინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჩიშვილმა, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა კრივის საერთაშორისო ტურნირის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა

მოკრივეებს 21 ქვეყნიდან, მათ შორის საბერძნეთიდან, კვიპროსიდან, ლატვიიდან, ლიეტუვიდან, ესტონეთიდან, ისრაელიდან, სინგაპურიდან, ინდოეთიდან და სხვა, ბათუმი 22 ივნისამდე მასპინძლობს.

აჭარის კრივის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის და ცნობილი მოკრივის ირაკლი აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში ორი ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენები მონაწილეობენ.

დღეს წინასწარი შეხვედრები იმართება, 21 ივნისს - ნახევარფინალები, ფინალური ასპარეზობები კი 22 ივნისს გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში აქტიურად გრძელდება სპორტის ხელშეწყობა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება. წელს ამისთვის ბიუჯეტიდან 35 794 492 ლარია გამოყოფილი. გაიზარდა სპორტული ფედერაციების ყოველწლიური დაფინანსება. მოპოვებული ტიტულის შესაბამისად, დაიწყო სტიპენდიების გაცემა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებზე სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს წარმოუდგენელი ოცნება აგვიხდა, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ისტორიაში პირველად, 18 ივნისს ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი ითამაშა, მაგრამ თურქეთთან 3:1 დამარცხდა

არა მარტო გულშემატკივრების, ექსპერტების შეფასებითაც, მოგებას ნამდვილად ვიმსახურებდით, მაგრამ ფორტუნამ გვიმტყუნა, თუმცა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს მასშტაბით, ფეხბურთის მოყვარულები ნამდვილად მოხიბლა, უცხოური მედიაც კი ალაპარაკდა, რომ ქართველები საინტერესო ფეხბურთს თამაშობენ.

როგოც 2023 წლის 26 მარტს იყო საქართველო ერთიანი, ასევე გააერთიანა იგი ახალმა საფეხბურთო ემოციებმა. მიუხედავად აღნიშნული ანგარიშისა, საქართველოში ისევ საზეიმო განწყობაა. ჩვენს ნაკრებს წინ ორი თამაში ელოდება. უახლოესი მატჩი შაბათს, 22 ივნისს ჰამბურგში გაიმართება და საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩეხეთს დაუპირისპირდება. გამარჯვების მოლოდინი დიდია და გვჯერა, ჩვენი ფეხბურთელები ბოლომდე იბრძოლებენ.

ევროპის ჩემპიონატზე თამაშს ერთგვარი სკანდალიც მოჰყვა. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ღირსების ორდენზე წარდგენილი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა ნაწილი არ დააჯილდოვა.

ღირსების ორდენზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს ფეხბურთის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლის საგზური მოიპოვა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ღირსების ორდენზე 53 ადამიანი წარადგინეს, თუმცა 19 მათგანის დაჯილდოებაზე პრეზიდენტმა უარი თქვა.

რატომ და რა კრიტერიუმებით ამოიღო სალომე ზურაბიშვილმა ღირსების ორდენზე წარდგენილთა სიიდან 19 ადამიანი, მათ შორის სამწვრთნელო შტაბის, სამედიცინო ჯგუფის და ფედერაციის სხვა წარმომადგენელთა ნაწილი, ამ კითხვაზე პასუხს პრეზიდენტისგან სპორტული საზოგადოების გარდა პოლიტიკოსებიც მოითხოვენ.

განკარგულების თანახმად, პრეზიდენტის ჯილდო ნაკრების რვა მწვრთნელიდან ხუთმა მიიღო. სალომე ზურაბიშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, გენერალური მდივანი დავით მუჯირი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე, ხოლო არ დაჯილდოვა ვიცე-პრეზიდენტები ნიკოლოზ ჯღარკავა, ალექსანდრე იაშვილი, აკაკი ალადაშვილი.

ამ გადაწყვეტილებას მმართველი გუნდის მხრიდან კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.

„საზოგადოება თვალს ადევნებს, რომ ნაწილის თქმით, ფეხბურთი ნამდვილად არის ეროვნული ერთიანობის საკითხი და ამიტომ სიაში ჩამოთვლილი პირები სრულად უნდა დაჯილდდოებულიყვნენ, თუმცა პრეზიდენტის კრიტიკისგან თავს იკავებენ, მეორე ნაწილის აზრით კი 53 პირის დაჯილდოება მეტისმეტია და საჭირო არ იყო.

„საქართველოს მთავრობა იქცევა როგორც პარაზიტი ბუზი. შეეშვით ამ ინტრიგების ჩაგდებას სპორტში, მით უმეტეს ახლა, როდესაც მნიშვნელოვანი თამაში ელის ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. ეს ეროვნული ნაკრები ეროვნული ფეხბურთელებს პოლიტიკური მოსაზრებების გამო და თავს რადიკალური ოპოზიციური ფრონტის ხელმძღვანელად აცხადებს. ჩვენმა მოქალაქეებმა სალომე ზურაბიშვილი იმისთვის აირჩიეს, რომ ყოფილიყო ყველას პრეზიდენტი და საქართველოს ინტერესების წარმდგენი, საბოლოო ჯამში კი არის რადიკალური ოპოზიციის ლიდერი. აქედან გამომდინარე, მისი გადაწყვეტილებებიც ამ განზომილებაში უნდა განვიხილოთ“, - აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წუხილი გამოთქვა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.

„ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტმა გადაწყვიტა ჩვენ მიერ წარდგენილი სიიდან კონკრეტული გვარების ამოღება, მათ შორის არიან ის ადამიანები, რომლებსაც უშუალოდ, როგორც ფეხბურთელებს, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ნაკრების განვითარებაში“, - აღნიშნა პრემიერმა.

რატომ თქვა უარი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა ნაწილის დაჯილდოებაზე, თავად ზურაბიშვილს ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია. მის გადაწყვეტილებას საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილიც ეხმაურება და მათი აზრი ორადაა გაყოფილი. ერთი პრეზიდენტი ვეტოს ადებს და ხელს არ აწერს ქვეყნისთვის საჭირო კანონებს, არ ნიშნავს ელჩს, არ აჯილდოებს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს პოლიტიკური მოსაზრებების გამო და თავს რადიკალური ოპოზიციური ფრონტის ხელმძღვანელად აცხადებს. ჩვენმა მოქალაქეებმა სალომე ზურაბიშვილი იმისთვის აირჩიეს, რომ ყოფილიყო ყველას პრეზიდენტი და საქართველოს ინტერესების წარმდგენი, საბოლოო ჯამში კი არის რადიკალური ოპოზიციის ლიდერი. აქედან გამომდინარე, მისი გადაწყვეტილებებიც ამ განზომილებაში უნდა განვიხილოთ“, - აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წუხილი გამოთქვა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.

„ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტმა გადაწყვიტა ჩვენ მიერ წარდგენილი სიიდან კონკრეტული გვარების ამოღება, მათ შორის არიან ის ადამიანები, რომლებსაც უშუალოდ, როგორც ფეხბურთელებს, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ნაკრების განვითარებაში“, - აღნიშნა პრემიერმა.

რატომ თქვა უარი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა ნაწილის დაჯილდოებაზე, თავად ზურაბიშვილს ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია. მის გადაწყვეტილებას საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილიც ეხმაურება და მათი აზრი ორადაა გაყოფილი. ერთი ნაწილის თქმით, ფეხბურთი ნამდვილად არის ეროვნული ერთიანობის საკითხი და ამიტომ სიაში ჩამოთვლილი პირები სრულად უნდა დაჯილდდოებულიყვნენ, თუმცა პრეზიდენტის კრიტიკისგან თავს იკავებენ, მეორე ნაწილის აზრით კი 53 პირის დაჯილდოება მეტისმეტია და საჭირო არ იყო.

„საქართველოს მთავრობა იქცევა როგორც პარაზიტი ბუზი. შეეშვით ამ ინტრიგების ჩაგდებას სპორტში, მით უმეტეს ახლა, როდესაც მნიშვნელოვანი თამაში ელის ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. ეს ეროვნული ნაკრები ეროვნული

„საბოლოოდ, არავის დარჩება უსამართლობის განცდა“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოში აჭარის მთავრობის 2023-2024 წლების ანგარიშით წარსდგა. თორნიკე რიჟვაძემ რეგიონში განხორციელებულ პროექტებსა და დაგეგმილ სიახლეებზე გაამახვილა ყურადღება. აჭარის მთავრობის მეთაურმა საანგარიში პერიოდში სოციალური, ეკონომიკური, ტურიზმის, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის მიმართულებით მიღწეული შედეგები შეაჯამა

ანგარიშის წარდგენამდე აჭარის მთავრობის მეთაურმა რეგიონის მიღწევებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, მაქსიმალური კეთდება, რათა ღირსებით და სუვერენიტეტის დაცვით დავუახლოვდეთ ევროპულ ოჯახს და პარალელურად, ქვეყანაში შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა.

- სულ ახლახან ბათუმი დასახელდა ევროპის წამყვან საინვესტიციო ქალაქად, რაც ნიშნავს, რომ მეტი ინვესტიციაა და მეტი პროექტი განხორციელდება, კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება რეგიონში, და რაც ყველაზე მთავარია, კიდევ უფრო მეტი კეთილდღეობა შეიქმნება ჩვენი მცხოვრებლებისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს არ არის ბოლო და ერთადერთი აღიარება, რადგან, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ბათუმმა ნამდვილად დაიმკვიდრა როგორც ევროპის ტურისტულ, ასევე ბიზნესრუკაზე თავისი ღირსეული ადგილი. ევროპელი ვიზიტორები, ასევე ჩვენი პარტნიორები აღიარებენ, რომ ბიზნესის თავისუფლების ხარისხი, ის დემოკრატიული წეს-წყობილება, ძალიან ძვირფასი, მდიდარი, ევროპული მემკვიდრეობა, რომელიც ამ ქალაქს ახასიათებს, ნამდვილად გამოარჩევს მას.

ბოლო რამდენიმე წელია, ბათუმი და აჭარა აღიარებულია ყველაზე სწრაფად მზარდ ტურისტულ მიმართულებად ევროპაში. ასევე, შარშან ჩვენმა ულამაზესმა სტადიონმა ამერიკაში მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდო და დარწმუნებული ვარ, ეს მომავალშიც გაგრძელდება. ინვესტორები, ვიზიტორები ახასიათებენ ჩვენს ქალაქს, როგორც მიმზიდველს ბიზნესის კეთების თავისუფლების, ასევე ინვესტიციების დაცულობის კუთხით და მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობით. რა თქმა უნდა, ეს არის ის ფუძემდებლური პრინციპები, რომლითაც შესაძლებელი გახდა ის ძალიან მნიშვნელოვანი დემოკრატიული გარდატეხა, რასაც თითოეული ჩვენი მოქალაქე ხედავს ბოლო 12 წლის განმავლობაში და რისი შედეგიც არის ის მიღწევები, რომელიც გვაქვს - იქნება ეს ეკონომიკური ზრდა, ახალი სამუშაო ადგილები, სიღარიბის განახევრება როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე და, რა თქმა უნდა, ის პერსპექტივა, რომელიც კიდევ უფრო გვაახლოებს ჩვენი სუვერენიტეტის დაცვით ევროპულ ოჯახთან. ეს არის ის არჩევანი, რომელსაც ჩვენი მთავრობა პატივს სცემს და ყველაფერს აკეთებს, რომ ღირსებით, ჩვენი სუვერენიტეტით შევძლოთ საგარეო პრიორიტეტების მიღწევა და ამის პარალელურად, ქვეყანაში შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა, რომელიც არის საფუძველი ყველა იმ მიღწევის, რაც აქამდე ჩამოვთვალე, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

> ***„ბოლო რამდენიმე წელია, ბათუმი და აჭარა აღიარებულია ყველაზე სწრაფად მზარდ ტურისტულ მიმართულებად ევროპაში. ასევე, შარშან ჩვენმა ულამაზესმა სტადიონმა ამერიკაში მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდო და დარწმუნებული ვარ, ეს მომავალშიც გაგრძელდება. ინვესტორები, ვიზიტორები ახასიათებენ ჩვენს ქალაქს, როგორც მიმზიდველს ბიზნესის კეთების თავისუფლების, ასევე ინვესტიციების დაცულობის კუთხით და მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობით***

მთავრობის თავმჯდომარემ საქართველოს, ქართველებს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის ქვეყანაში დაბრუნება მიულოცა, ასევე, ქართველ ფეხბურთელებს წარმატებები უსურვა ევროპის ჩემპიონატზე.

აჭარის მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, აჭარის 2024 წლის ბიუჯეტი 726 მილიონ 553 ათას 700 ლარს შეადგენს. ფინანსური დოკუმენტი, 2023 წელთან შედარებით, 153 მილიონ 902 ათას 300 ლარით, 26,8%-ით გაიზარდა. თორნიკე რიჟვაძემ ყურადღება გაამახვილა ისტორიული მნიშვნელობის პროექტზე, რომელიც მაღალმთიან აჭარაში ხორციელდება - „დაბებისა და სოფლების წყალმომარაგება“, რითაც 30 ათასზე მეტი ადამიანი ისარგებლებს. ისაუბრა გაზიფიცირების პროექტზე, სოციალური სახლების, სპორტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე. მისივე ინფორმაციით, ინტენსიურად მიმდინარეობს სათხილამურო კურორტ გოდერძის განვითარება, აქტიურად გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. თორნიკე რიჟვაძემ ყურადღება გაამახვილა ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ გაწეულ საქმიანობაზე, პროექტებსა და პროგრამებზე, რომლებიც რეგიონის მოსახლეობის საჭიროებებზეა მორგებული. რეგიონის მეთაურის თქმით, აჭარაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტი გაიზარდა და 51 მილიონ 255 ათას ლარს შეადგენს.

თორნიკე რიჟვაძემ ისაუბრა აჭარაში მიმდინარე სოციალურ პროექტზე, ოცნების ქალაქის მშენებლობაზე, სადაც ბინა 582 ოჯახს გადაეცა. მისივე განმარტებით, დაწყებულია პროექტის მეორე ეტაპის განხორციელება:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე ბიუჯეტში უკვე განსაზღვრულია შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები მეორე ეტაპთან დაკავშირებით. ჩვენ წელსვე, ძალიან მალე, ეს გახლავთ ასევე პრემიერის დავალება, რომ დავიწყოთ მეორე ეტაპი. აშენდება ათასზე მეტი ბინა და ყველა მიიღებს საცხოვრისს, რომელსაც წლების განმავლობაში ელოდებოდნენ და, სამწუხაროდ, ღირსების შემლახველ პირობებში უწევდათ ცხოვრება. ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ იქნება გადაწყვეტილი. კრიტერიუმები იყო საჯარო, სამართლიანი და, საბოლოოდ, არავის დარჩება უსამართლობის განცდა, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარემ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროგრამაზე - „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ ისაუბრა, მისი ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში ათასამდე საცხოვრებელი ბინის მშენებლობა 10 მისამართზე მიმდინარეობს და ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამით ბათუმში 3 ათასი ოჯახი ისარგებლებს.

ბათუმმა სამიტს მესამედ უმასპინძლა

ჩვენმა ქალაქმა ევროპის რეგიონთა ასამბლეის შავი ზღვის სამიტს უმასპინძლა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სამიტის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა და დელეგატებს სიტყვით მიმართა

თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, ის ფაქტი, რომ ბათუმი უკვე მესამედ არის სამიტის მასპინძელი, ცხადყოფს, რამდენად ღირებულია აჭარის რეგიონი ევროპის რეგიონული ასამბლეისთვის.

„მინდა მადლობა გადავუხადო ასამბლეის პრეზიდენტს და ყველა მონაწილეს ამ განსაკუთრებული შესაძლებლობისა და ურყევი ნდობისთვის. ბათუმი ინვესტორებისთვის ევროპის 10 საუკეთესო მიმართულებას შორის დასახელდა. მუდმივად მზარდი ეკონომიკის პირობებში, ქალაქი უძრავი ქონების, მასპინძლობის, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და განახლებადი ენერგიის სფეროში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებს იძლევა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, დგას ევროპული ინტეგრაციის გზაზე, იზიარებს ევროპულ ღირებულებებსა და პრინციპებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამიტი წარმატებული იქნება ჩვენი საერთო მიზნებისა და წინსვლისთვის“, - აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლისას.

სამიტის ფარგლებში ბელგიის, ჰოლანდიის, იტალიის, ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის, ხორვატიის, უკრაინის, კვიპროსის, ალბანეთისა და ასამბლეის წევრი სხვა ევროპული სახელმწიფოების რეგიონების წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს, განიხილეს თანამშრომლობის პრიორიტეტები და განვითარების პერსპექტივები.

ევროპის რეგიონთა ასამბლეა (AER) წარმოადგენს ევროპის უმსხვილეს დამოუკიდებელ რეგიონულ ხელისუფლებათა ქსელს, რომელიც აერთიანებს ევროპის 35 სახელმწიფოს 270 რეგიონულ ხელისუფლებასა და 16 რეგიონთაშორის ორგანიზაციას. ჩვენი რეგიონი ასამბლეის სრულუფლებიანი წევრია.

კანდიდატად – სოსო სტურუა

რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აჭარის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატად სოსო სტურუას წარუდგენს

სხდომას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, აჭარის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად, მეურვედ, სამი კანდიდატი წარუდგინოს. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოში უმაღლესი საბჭოს კვოტით უკვე არჩეულია ორი მეურვე. დავით გაბაიძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტის საკონკურსი კომისიამ აჭარის უმაღლეს საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვის კანდიდატურის შესარჩევად 11 კონკურსანტი წარუდგინა: ემზარ დიასამიძე, მარინე გიორგაძე, ფირუზ ბოლქვაძე, გიორგი იაკობაშვილი, გიორგი ლაზიშვილი, იზაბელა ოსიპოვა, სოსო სტურუა, პაატა სურგულაძე, დონარა შონავა, მიხეილ ჩიკვილაძე და თამარ წილოსანი. მათგან, ღია კენჭისრით, 11 ხმით (არცერთი - წინააღმდეგი), უმაღლესი საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს სოსო სტურუას კანდიდატურას.

ორი ახალი ბაღი – ბათუმში

ვაჟა-ფშაველასა და ნანეიშვილის ქუჩებზე საბავშვო ბაღების მშენებლობა წელს დასრულდება. მშენებლობის პროცესი ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრებთან ერთად დაათვალიერეს

როგორც ბათუმის მერიაში აცხადებენ, შენობები სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირთათვის და მთლიანობაში, 300 აღსაზრდელს მოემსახურება.

პროექტის ფარგლებში იგეგმება ეზოების მოწყობა, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები და საბაღე სკამები, დაიგება მწვანე საფარი და დამონტაჟდება განათების სისტემა. ნანეიშვილის ქუჩაზე კი დამატებით, სპორტული მოედანი აშენდება.

ორივე ბაღის მშენებლობისათვის 6 მილიონ 523 ათასი ლარი დაიხარჯება.

„ახლად შექმნილი პარტიის კვალობაზე, მოსალოდნელზე მაღალი რეიტინგი გვაქვს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საპარლამენტო არჩევნებამდე ხუთი თვე დარჩა და, ბუნებრივია, პოლიტიკური ატმოსფერო ძალიან დაძაბულია. ოპონენტები ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად არიან განწყობილნი

ურთიერთბრალდებები არახალია: ქვეყნის ღალატი, კორუფცია და ა. შ. ამ ყველაფერს ახლავს მუშტი-კრივიც, რაც ქართულ პოლიტიკაში ჩვეულებრივი ამბავი გახდა. კანონმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ეს დაპირისპირება უკიდურესად გაამწვავა. სამწუხაროდ, დასავლეთისგან განსხვავებით, ჩვენთან პოლიტიკური პაექრობა არცთუ ისე ცივილიზებულად მიმდინარეობს. პოლიტიკური სპექტრი საარჩევნო რეჟიმში კიდევ უფრო გააქტიურდა, იქმნება სხვადასხვა ოპოზიციური პლატფორმა, გულხელდაკრეფილი არც მმართველი გუნდია. საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ არჩევნებში „ქართული ოცნება“ 60 პროცენტს აიღებს, რასაც ოპოზიცია უტოპიად მიიჩნევს და ხელისუფლებას არჩევნებში დიდ სიურპრიზს ჰპირდება კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებით. დღეს ამ საკითხებთან დაკავშირებულ არაერთ საინტერესო კითხვაზე პარტია „ახალის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ***ლევან გორგილაძე*** *გვიპასუხებს.*

- როგორია თქვენი აზრი დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე?

- პოლიტიკური პროცესები საკმაოდ რთულია, თუმცა გამოფხიზლებული მოსახლეობის ფონზე - საკმაოდ იმედიანიც. მოქმედი ხელისუფლება ბელარუსიზაციისა და რუსეთიზაციის გზას ადგას. ასე თუ გაგრძელდა, გაუსწრებს კიდეც მათ, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველი ხალხის მკვეთრი და მკაფიო პოზიცია გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ ამ გამოწვევასაც გავართმევთ თავს და ვიცხოვრებთ ევროპულ სახელმწიფოში.

- ოპოზიცია აკრიტიკებს კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, მმართველი პარტია კი აღნიშნავს, რომ ამ კანონის მიღებით ქვეყნის სუვერენიტეტს იცავს...

- თავშივე უნდა ვთქვა, რომ ეს კანონი თავისი არსით და გაგებით რუსულია და რეალურ გამჭვირვალობას არ ისახავს მიზნად. შემოიღეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისევე, როგორც რუსეთში, გააქრონ საერთაშორისო პარტნიორები და ჩაახშონ განსხვავებული აზრი. მოჰყავთ მაგალითები, თითქოს ჩვენს სხვადასხვა პარტნიორ ქვეყანაში მოქმედებს მსგავსი კანონები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს - ამ სახელმწიფოებში ეს კანონი მოქმედებს მათდამი მტრულად განწყობილ ქვეყნებთან მიმართებით, ხოლო ჩვენი - პარტნიორებთანაც, როცა არც დასავლეთი და არც ამერიკის შეერთებული შტატები არაა ჩვენი მტერი. მიეღოთ ეს კანონი რუსეთის წინააღმდეგ და არ გავაპროტესტებდით.

- დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ვაშინგტონმა რამდენიმე ათეულ ადამიანს საქართველოში სავიზო სანქცია დაუწესა...

- ეს იმის მანიშნებელია, რომ სრულიად ცივილიზებული სამყარო დგას ქართველი ხალხის და არა „ქართული ოცნების“ მხარეს. ჩვენი მეგობრული ურთიერთობა და სტრატეგიული მნიშვნელობა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ზეწოლა დასავლეთიდან გაიზრდება და ის პროტესტთან სინთეზში მოგვცემს სასურველ შედეგს.

- რამდენად მოსალოდნელია, რომ აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის პოლიტიკური კრიზისი გაღრმავდეს?

- შეიძლება ითქვას, რომ უკვე გაღრმავდა. ხელისუფლება ადგას გზას რუსეთისკენ, ამერიკა დგას ქართველი ხალხის მხარეს, როგორც დასაწყისში აღვნიშნე.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ აშშ საქართველოს ხელისუფლებას აშანტაჟებს, იმასაც დასძენს, რომ ქვეყანა ეკონომიკურ გამოწვევებს გაუმკლავდება. რას ფიქრობთ ამაზე?

- ეს განცხადებები, პირველ რიგში, თავის დამშვიდებისა და იმ ამომრჩევლებისთვის კეთდება, რომლებიც ჯერ კიდევ მმართველ გუნდს უჭერენ მხარს, თუმცა დღითი დღე უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ეკონომიკური კოლაფსის კვალდაკვალ მოგვიწევს ცხოვრება, რაც მხოლოდ რუსული ხელისუფლების ბრალეულობასთან მიგვიყვანს, ამიტომაც ეს მცდელობა ამაოა და მგონი, გამორიცხულია თუნდაც ის ამომრჩეველები შეინარჩუნონ, რომლებიც ჯერ კიდევ ჰყავთ.

- მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ არჩევნებში 60 პროცენტს აიღებენ...

- „ოცნება“ საკუთარ თავს და ჯერ კიდევ დარჩენილ ამომრჩევლებს აიმედებს, ესაა და ეს.

- თვალნათლივ ჩანს, რომ პოლიტიკური სპექტრი საარჩევნო მარათონში ჩაება. ამ მხრივ რა სტადიაშია ხელისუფლება და ოპოზიცია?

- რუსული კანონის ხელმეორედ ინიცირებით, ვფიქრობ, ხელისუფლებამ პოლიტიკური ჰარაკირი გაიკეთა და მათი ისედაც დაცემული რეიტინგი კიდევ უფრო დაეცა. რაც შეეხება ოპოზიციას, ახლა მიმდინარეობს გადაჯგუფებები და აუცილებლად შეიქმნება რამდენიმე გამსხვილებული ცენტრი, რათა არავის ხმა არ დაიკარგოს და სწორედ ეს იქნება „ქართული ოცნების“ დასრულების რეცეპტი.

- ჩამოყალიბდა რამდენიმე ოპოზიციური პლატფორმა. თქვენი პარტია არჩევნებში როგორ წარსდგება?

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლად შექმნილი პარტიის კვალობაზე, მოსალოდნელზე მაღალი რეიტინგი გვაქვს ყველა კვლევის მიხედვით, თუმცა ვითავისებთ იმასაც, რომ ოპოზიციური ხმების დაკარგვა საერთო საქმისთვის დამაზიანებელია. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები თითქმის ყველა პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიასთან და ძალიან მალე გვექნება ორი-სამი ოპოზიციური ცენტრი.

- რას ფიქრობთ „ნაცმოძრაობაში“ მომხდარ ცვლილებებზე? ნიკა მელიამ მათ კოსმეტიკური უწოდა.

- სიმართლე გითხრათ, „ნაცმოძრაობაზე“ საუბრისგან თავის შეკავება მირჩევნია. საზოგადოებას კარგად მოეხსენება ამ პარტიისადმი ჩემი დამოკიდებულება ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის ჩემი სიიდან ამოღების გამოც, თუმცა დღეს „ნაცმოძრაობაზე“ საუბარი არასწორი მგონია, მინიმუმ იმ მიზეზით, რომ, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, პროდასავლურად პოზიციონირებენ. ცვლილება დავტოვოთ ცვლილებად, არაფერი შეიცვლება რეალურად. დასუსტებულ „ნაცმოძრაობას“ ვეღარაფერი უშველის, თუმცა ვიცით, რომ ბარიერის გადალახვის საშიშროება არ უდგათ და ამას პოზიტიურად ვუყურებ. თუკი ვინმე მათთან გაერთიანდება ხმების არდაკარგვის მიზნით, ამასაც აუცილებლად პოზიტიურად შევხედავ.

- ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ „ახალი“, ძირითადად, ხმებს არჩევნებში „ნაცმოძრაობას“ წაართმევს...

- „ნაცმოძრაობის“ ხმები ჩვენს ყულაბაში არ მოდის-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ, რა თქმა უნდა, მოდის, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი დიდი და საჭირო გუნდი გამოეყო არაფორმალურ მმართველობას, თუმცა ასევე თამამად ვიტყვი, რომ წარსულში „გადაუწყვეტელი“ ამომრჩევლების დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ, ახალგაზრდები დღითი დღე გვიერთდებიან და ამ მხრივაც საგრძნობლად ვიზრდებით.

- როგორი იქნება ძალთა გადანაწილება მომავალ პარლამენტში და რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება?

- მოსალოდნელიცაა და აუცილებელიც. „ქართული ოცნება“ რომ შესუსტებული და ოპოზიციაში გადასაბარგებლად მომზადებულია, ეს აღარაა სადავო და მომავალი მთავრობა რომ კოალიციური იქნება, ამას ცხადყოფს ყველა კვლევა. უცილებელია, შევეჩვიოთ და ვისწავლოთ ერთპიროვნული მმართველობის გარეშე თანაცხოვრება.

- დაბოლოს, რამდენად მნიშვნელოვანია 26 ოქტომბრის არჩევნები და მისი შედეგები საქართველოს მოსახლეობისთვის?

- 26 ოქტომბერს ორი არჩევანის შესაძლებლობა გვექნება: 41 ნომერი (რუსეთი) და სხვა პროდასავლური პარტიების ნომრები (დასავლეთი). ჩვენ არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ უკვე გავაკეთეთ, 26 ოქტომბერს ამას საარჩევნო ურნებთანაც დავაფიქსირებთ და მერე მართლა გვექნება ჩვენს ქვეყანაში ნორმალური თანაცხოვრების შესაძლებლობა, გაჩნდება შანსი, რომ მალევე მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და, ასევე, პირველი შესაძლებლობისთანავე გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის წარმომადგენლები.

> ❝ *„ნაცმოძრაობის“ ხმები ჩვენს ყულაბაში არ მოდის-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ, რა თქმა უნდა, მოდის, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი დიდი და საჭირო გუნდი გამოეყო არაფორმალურ მმართველობას, თუმცა ასევე თამამად ვიტყვი, რომ წარსულში „გადაუწყვეტელი“ ამომრჩევლების დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ, ახალგაზრდები დღითი დღე გვიერთდებიან და ამ მხრივაც საგრძნობლად ვიზრდებით*

პარტია „ახალის“ ლიდერები – ბათუმში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ბათუმში, „თავისუფალ სივრცეში“ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს პოლიტიკურ პარტია „ახალის“ ლიდერები ნიკა მელია და ნიკა გვარამია შეხვდნენ

მათ ისაუბრეს აღნიშნული პარტიის შექმნის მიზეზსა და მიზნებზე. ნიკა მელიას თქმით, წინა ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა და ეს მათმა გუნდმა გააანალიზა.

შეხვედრაზე მნიშვნელოვანი დრო დაეთმო იმაზე საუბარს, რომ საქართველოს უმრავლეს კუთხეს დღეს არ ჰყავს ეროვნული ლიდერი.

„ჩვენი დაკვირვებით, დღეს ეროვნული დონის ლიდერი ჰყავს მხოლოდ თბილისს და ბათუმს. მე წარმოშობით სამეგრელოდან ვარ, სადაც პოლიტიკურად აქტიური ხალხი ცხოვრობს, თუმცა ეროვნულობის მხრივ, პოლიტიკური ლიდერი არ არსებობს, რაც ძალიან სამწუხაროა. ეს არ ხდება შემთხვევით, დღეს პოლიტიკური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ვერასოდეს გაჩნდება ასეთი ლიდერი, თუ პოლიტიკოსების ფუნქციური წრე არ გაიღვევა“, - განცხადა ნიკა მელიამ.

ნიკა გვარამიას თქმით, პარტიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი მიიყვანოს საარჩევნო უბნებთან.

„თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ამომრჩეველს აქვს სხვა ინტერესი, სწორედ ამ ინტერესებზე უნდა ველაპარაკოთ მარტო იმიტომ, რომ არჩევნებზე მივიდეს და არ მისცეს ხმა „ქართულ ოცნებას“. ამ სტრატეგიით ვუყურებთ ნებისმიერ ტაქტიკურ გადაწყვეტილებას. ტაქტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას არ სჭირდება ბევრი ხმაური და ემოცია“, - გვითხრა ნიკა გვარამიამ.

შეხვედრაზე საარჩევნო დაპირებებიც მოვისმინეთ. ლიდერებმა არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლებს წარუდგინეს თავიანთი ხედვა და გეგმა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, ყურადღება გაამახვილეს სოციალურ, ჯანდაცვის და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებზე.

პარტიის ლიდერებმა სამოქალაქო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ორივე სექტორი, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდის მიუხედავად, დღეს მაინც ძლიერია.

„დღეს სამოქალქო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები ბათუმში ძალიან ძლიერია. არასამთავრობო სექტორს ჩვენი ხედვა წარვუდგინეთ, თუ რატომ შეიქმნა პარტია „ახალი“, რა მისიას ემსახურება, რა როლის თამაში სურს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველა მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით გვქონდა დისკუსია“, - აღნიშნა ნიკა მელიამ.

ნიკა მელიამ უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვას, თუ რით განსხვავდება პარტია „ახალი“ სხვა ოპოზიციური პარტიებისგან.

„განსხვავება ჩვენსა და სხვა ოპოზიციურ პარტიებს შორის, პირველ რიგში, ის არის, რომ ჩვენ გვაქვს მავნე გავლენებისგან თავისუფალი პლატფორმა, სადაც ანგარიშვალდებულება მხოლოდ ამომრჩევლის წინაშე გვაქვს. პარტია „ახალში“ უკვე ინტეგრირებული არიან ახალი და საინტერესო ადამიანები, რომლებიც არასდროს ყოფილან პოლიტიკაში და არც - წინა სახელისუფლო პარტიის ამომრჩევლები“, - გვითხრა ნიკა მელიამ.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მსგავს შეხვედრებს იმის გარანტად მიიჩნევენ, რომ ამა თუ იმ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მკაფიოდ გაიმიჯნება ერთმანეთისაგან ევროპული და რუსული ვექტორები.

რას თვლიან ძალადობად საქართველოში?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

„ქმარი მეუბნება, რომ ძალიან მსუქანი ვარ და წონაში უნდა დავიკლო“, „მეუღლე მცემს“, „ჩემი ძმა მემუქრება, რომ თუ სახლში 11 საათამდე არ მივალ, გარეთ საერთოდ აღარ გამიშვებს“, - ეს იმ ადამიანების ფრაზებია, რომლებიც დღეს ძალადობის მსხვერპლნი არიან

ძალადობა, სამწუხაროდ, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ქართულ რეალობაში ხშირია ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, რომლებიც განიხილება ადამიანთა უფლებების ყველაზე სერიოზულ დარღვევად. ძალადობა ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეთნიკური წარმომავლობისა და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებში.

ძალადობის სხვადასხვა ფორმა არსებობს: ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური, ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, უგულებელყოფა და ა. შ.

დავინტერესდი, დღეს საქართველოში ქალები, უმეტესად, რა ტიპის ძალადობის მსხვერპლნი არიან და ამ შეკითხვით მივმართე ფსიქოლოგ ალინა გურგენიძეს.

- ქალები, უპირველესად, ფიზიკურ ძალადობას განიცდიან. გავრცელებულია, ასევე, ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობა - როდესაც ადამიანის ემოციებს, თვითშეფასებას აკონტროლებს მოძალადე და ემოციურად მანიპულირებს; სექსუალური ძალადობა - არაკონსენსუალური სექსუალური ქმედება; ეკონომიკური და ფინანსური ძალადობა. ბოლო დროს მოძალადე მამაკაცებისგან გახშირდა კიბერბულინგი - ნეგატიური კომენტარები, არაეთიკური ვიდეოებისა და ფოტოების გაზიარება და სხვა, - გვიპასუხა ფსიქოლოგმა.

საყურადღებოა, რომ დღეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. სოციალურ ქსელებში ხშირად გვხვდება პოსტები, სადაც ისინი საუბრობენ მათზე განხორციელებულ სექსუალურ ძალადობაზე.

ჩვენ გავესაუბრეთ ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც სამსახურში უფროსის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო. მისი თხოვნით, ვინაობას არ ვამხელთ.

- ქმართან დაშორების შემდეგ, ახალგაზრდა კაცმა, რომელთან ერთადაც ადრე ვმუშაობდი, საკუთარ კომპანიაში სამსახური შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. ანაზღაურებაც მშვენიერი მქონდა, შვილსა და მშობლებს არაფერს ვაკლებდი. გავიდა რამდენიმე თვე და კომპანიამ ქალაქგარეთ კორპორატიული საღამო მოაწყო. გავერთეთ, დავლიეთ და კომპანიის მფლობელს ვუთხარი, რომ მისი მადლობელი ვიყავი, რადგან სამსახური დამაწყებინა. მას, როგორც უფროს ძმას, ისე ვუყურებდი და სულ მეიმედებოდა, რაც თავადაც იცოდა. სიმართლე გითხრათ, მისგან ზედმეტი ყურადღება არასდროს მიგრძნია. კორპორატიული საღამოდან 1-2 საათის შემდეგ მითხრა, რომ სამსახურის საქმეზე სალაპარაკო ჰქონდა და მის სასტუმრო ოთახში შევსულიყავი. ალბათ, უფრო ფხიზელი რომ ვყოფილიყავი, ან მისგან ოდესმე რამე სიმპათია მეგრძნო, არ შევიდოდი, მაგრამ რომ ენდობი ადამიანს, მასზე ცუდს აღარ ფიქრობ. ოთახში როცა შევედი, რაღაცნაირად ცუდი შეგრძნება დამეუფლა. აივანზე გავედი და ვუთხარი, აქ ვისაუბროთ-მეთქი, თუმცა ვერ დავითანხმე. ამის შემდეგ სცადა ჩემზე ძალადობა, ვემუდარებოდი, გაჩერებულიყო, საბოლოოდ, არ ვიცი, მუქარამ გაჭრა, თხოვნამ თუ სხვა რამემ, მაგრამ ბოლო მომენტში ხელი გამიშვა და გადავრჩი. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ამ კაცს საცოლე ჰყავდა. მინდოდა მეჩივლა, თუმცა ვიცოდი, საკუთარი სიმართლის დამტკიცება გამიჭირდებოდა და მან თავისუფლად განაგრძო ცხოვრება. შემდეგ გავიგე, რომ ბევრ გოგოზე უძალადია. 5 წელი გავიდა, მაგრამ ამ სტრესს ვერ ვინელებ და ალბათ, ვერასდროს მოვინელებ. ამ ამბავს დღემდე ემოციურად ვიხსენებ, ყელში ბურთი მეჩხირება და ცრემლებში ვიხრჩობი. მე მაშინ სუიციდზეც ვფიქრობდი, მაგრამ საკუთარი თავი ვერ გავიმეტე. თავის დროზე იმდენად დამცა ბეჭებზე ამ ამბავმა, რომ იქ რეალურად გამაუპატიურა თუ არა, უკვე მეასეხარისხოვანია, ამ სტრესმა ჩემი ფსიქიკა შეიწირა. ამას იმიტომ გიყვებით, მინდა სხვა გოგონებს, რომლებსაც გამოუცდიათ ძალადობა ან ახლა განიცდიან, სტიმული მივცე, რომ ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება განაგრძონ, სულიერად არ დაეცნენ, - გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა.

ძალადობა ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და არასდროს კარგავს აქტუალობას, ამიტომ ქალბატონებს მივმართეთ შეკითხვით, რას თვლიან ძალადობად.

- რთულია ლაკონურად ახსნა, რა არის ძალადობა. ჩემი აზრით, იგი შეიძლება იყოს ფიზიკური, სიტყვიერი, ფსიქოლოგიური, ზოგადად, ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. უმთავრესად მაინც, ალბათ, ისაა, ადამიანი რაიმე ფორმით აიძულო, მოიმოქმედოს (ან სცადოს), რისი გაკეთებაც არ სურს.

ფიზიკური ძალადობა მარტივი დასამტკიცებელია, რადგან მისი კვალი კარგა ხანს რჩება სხეულზე და კვალიფიცირება შედარებით იოლია, შესაბამისად, ბრალის დამტკიცებაც და დამნაშავის დასჯაც, სიტყვიერი ან ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებით დამტკიცება კი გაცილებით რთულია, განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც ლანძღვასა და კრიტიკას ერთმანეთისგან არ ანსხვავებენ და კრიტიკას შეურაცხყოფად იღებენ. მსგავს სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი ალბათ ისაა, რომ ფაქტი, მრავალჯერადად განმეორების შემთხვევაში, კვალიფიცირდეს სიტყვიერ ძალადობად, - გვითხრა ნანა გურეშიძემ.

თამარ უგრეხელიძის თქმით, ძალადობაა ნებისმიერი სიტყვა ან ქმედება, რომელიც მას ართმევს არჩევანის უფლებას.

- ძალადობაა, როდესაც ვიღაც არ მაძლევს არჩევანის უფლებას. საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია მანიპულაციებით ძალადობა, სამწუხაროდ, ახლობელი ადამიანებისგან, რომლებიც გვიზღუდავენ არჩევანის შესაძლებლობას. ძალადობას როცა ვახსენებთ, რატომღაც ყველას მსხვერპლად ქალი წარმოუდგენია, არადა, არცთუ იშვიათად კაცებიც გვხვდებიან ძალადობის მსხვერპლის როლში. ერთ-ერთ ფეისბუქპოსტში გამოქვეყნდა ქალთა მიმართ ძალადობის პროცენტულობა და იქ გურული კაცი აკომენტარებდა, კაცები, ეტყობა, არ გამოუკითხავთო. ძალადობის სურვილი მოწმობს ადამიანების განათლებისა და შეგნების დაბალ დონეს, უსვამს ხაზს იმას, რომ მხოლოდ დიპლომი პიროვნების განვითარებას არ ნიშნავს, - აღნიშნა თამარ უგრეხელიძემ.

მართლაც, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ კაცთა მიმართ ძალადობაც. ხშირად ვსაუბრობთ მათი მხრიდან ჩადენილ ცუდ ქმედებებზე, მაგრამ გვავიწყდება, რომ კაცებიც განიცდიან სოციუმის მხრიდან ძალადობას.

კაცთა მიმართ ძალადობის საწყისი ეტაპი ბავშვობაა. თუ ბიჭი ატირდა, ხშირად არცხვენენ და მიუთითებენ, გაჩერდეს, რადგან მხოლოდ გოგონები ტირიან და ბიჭის ტირილი სირცხვილია. ეს ფრაზები ბავშვის გონებაში ილექება და უკვე ზრდასრულ ასაკში კომპლექსების მიზეზი ხდება.

ძალადობაა ისიც, ბავშვობაში ბიჭებს „კაცურად“ რომ არიგებენ, ვინც აწყენინებს, აუცილებლად უნდა სცემოს, სასტიკად გაუსწორდეს. ამგვარი „რჩევა-დარიგებები“ უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე.

კაცების მიმართ ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობის ისეთი ფორმა, როდესაც სხვების თვალში თითქოს მისი სქესისთვის „შეუსაბამო“ პროფესიას ირჩევს, მაგალითად: კონდიტერობას, დიზაინერობას და ა. შ.

ბიჭებზე ძალადობრივი წნეხი მაშინ იზრდება, როდესაც მათ ოჯახის წევრები ადრეულ ასაკში ფინანსურ დამოუკიდებლობას სთხოვენ, ასევე, დაქორწინების შემდეგ ყველა ელოდება, რომ პირველი შვილი აუცილებლად ბიჭი იყოს, რაც სხვის თვალში მის მამაკაცურ სიძლიერეს დაადასტურებს.

> ***„ ძალადობაა, როდესაც ვიღაც არ მაძლევს არჩევანის უფლებას. საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია მანიპულაციებით ძალადობა, სამწუხაროდ, ახლობელი ადამიანებისგან, რომლებიც გვიზღუდავენ არჩევანის შესაძლებლობას. ძალადობას როცა ვახსენებთ, რატომღაც ყველას მსხვერპლად ქალი წარმოუდგენია, არადა, არცთუ იშვიათად კაცებიც გვხვდებიან ძალადობის მსხვერპლის როლში***

საინტერესოა, თავად მამაკაცების აზრი ძალადობასთან დაკავშირებით, ამიტომ გავესაუბრეთ თორნიკე ჯინჭარაძეს.

- პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა, რომ კაცთა მამართ ძალადობაზეც საუბრობთ, რადგან ძალადობას გენდერი არ გააჩნია. ძალადობის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითად შემიძლია დავასახელო ოჯახის მხრიდან მამაკაცზე ძალდატანება ცოლის შერთვის მოთხოვნით. ბიჭის დედ-მამას შვილიშვილი სურს, ამიტომ მშობლები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ, რომ მალე დაოჯახდეს. არადა, მამაკაცს შეიძლება დაოჯახება არ სურდეს. ასევე, მშობლები ხშირად აიძულებენ შვილებს, ცოლს გაშორდნენ, თუ მათი ოჯახის შესაფერისად არ ჩათვალეს და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ჩემს სანაცნობოში ამის ძალიან ბევრი მაგალითი ვიცი, - გვითხრა თორნიკე ჯინჭარაძემ.

გიორგი დიასამიძის თქმით, მზრუნველი დედა შესაძლოა, ფსიქოლოგიურ მოძალადედაც იქცეს.

- დედა რომ შვილზე ზრუნავს, ყველამ ვიცით, მაგრამ, ბიჭების მიმართ დედების ეგოისტური ქცევა შეიძლება ერთგვარ ძალადობადაც აღვიქვათ. საუბარი მაქვს ისეთ დედებზე, რომლებიც საკუთარ ვაჟებს თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ აძლევენ. ხშირად, 40 წლის მამაკაცებსაც კი დღეში მილიონჯერ ურეკავენ და ყველა ნაბიჯს უკონტროლებენ. არის შემთხვევები, დედები შვილებს არ აძლევენ დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ მის შვილს უკვე ოჯახი აქვს, მაინც ერევა ყოველდღიურობაში. ასევე, დედა ვერ ეგუება, რომ მისი შვილის ცხოვრებაში გამოჩნდა ქალი, რომელსაც ცხოვრება დაუკავშირა და იწყებს რძალზე ეჭვიანობას, რაც მისი ვაჟი ფსიქიკას ვნებს, რადგან ერთგვარი არჩევანის წინაშე დგება. ეს ჩემთვის ძალადობაა. ასევე, მხოლოდ ქალები არ ხდებიან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი, რადგან ისინიც სცემენ მამაკაცებს.

- ქალის მხრიდან ძალადობაა, როდესაც მეუღლეს ხშირად ეუბნება, რომ უმწეოა, რაც თავმოყვარეობას ულახავს, - თქვა ჩვენთან საუბარში გიორგი მიქელაძემ.

ძალიან საინტერესო გამოდგა ალექსანდრე დიასამიძესთან საუბარი, რომელიც ძალადობასთან დაკავშირებით სამაგისტრო თემას წერს და სიღრმისეულად ეცნობა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს.

- ქალზე ძალადობა ჩემთვის, როგორც ამ საკითხით დაინტერესებული პირისთვის, უამრავ ფორმასთან ასოცირდება - ეს იქნება ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური თუ ეკონომიკური.

მსმენია ქალების შესახებ, რომლებსაც მეუღლე თანხის ყოველ თეთრ დანახარჯზეც კი ანგარიშს სთხოვს, არ აძლევს წვდომას საბანკო ანგარიშებზე, საკუთარზეც კი, თვითნებურად განკარგავენ მეუღლის შემოსავლებსა თუ დანაზოგებს. აღნიშნულს ამართლებენ იმით, რომ კაცი ოდითგანვე ოჯახის მმართველია და ეს გამართლებულია. ჩემი შეხედულებით (და არამარტო), ეს ეკონომიკური ძალადობის ფორმაა, რაც ნეგატიურად აისახება ქალზე. შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ემოციური დისტრესი, როგორიცაა შფოთვა და დაბალი თვითშეფასება. ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, მქონია ქალებთან სიღრმისეული ინტერვიუები. ქალთა მიმართ ძალადობა უმრავლესობისთვის ასოცირდებოდა მხოლოდ ფიზიკურ ძალადობასთან, ფიზიკურ შეხებასთან, სხეულის დაზიანებასთან და ა. შ., არადა, ზემოაღნიშნულ ინტერვიუშიც გამოიკვეთა ძალადობის ბევრად მეტი ფორმა.

უმრავლესობის აზრით, ალოგიკურია მუქარა, შანტაჟი, კონტროლი, მანიპულირება ან დამცირება ძალადობის რაიმე ფორმასთან გააიგივო. ბევრს კონკრეტული ქეისის იდენტიფიცირებაც კი არ შეუძლია, რომელი იყო მანიპულაციური და რომელი - ნორმალური ქცევა. ვთანხმდებით, რომ ყველა ჩამოთვლილი, ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებია და ინდივიდს გაცილებით დიდ და ხანგრძლივ ზიანს აყენებს. საქმე არა სხეულთან, არამედ ფსიქიკასთან გვაქვს, რაც ძალზედ მტკივნეული, მძიმე და ღრმა საკითხია. ვაცნობიერებ, რომ ყოველივე ზემოთ განხილული სავსებით შესაძლებელია, ბუნდოვანი, გაუგებარი და არაქართული იყოს საზოგადოების ნაწილისთვის, მათთვის, ვისთვისაც ძალადობა მხოლოდ ფიზიკურ შეურაცხყოფასთან იგივდება, სხვა ფორმები კი მამაკაცურობის დადასტურებაა, რაც, მავანთა აზრით, ჩვენი კულტურითაა ნაკარნახევი. მათ მსჯელობას თუ გავყვებით, ორ დასკვნამდე მივდივართ - ან ჩვენი კულტურა ძალადობის მომხრეა, რადგან ჩემთვის ძალადობა მხოლოდ ფიზიკური დაზიანება არ არის, ან არასწორად ესმით კულტურა. მე უფრო მეორე მგონია, - აღნიშნა ალექსანდრე დიასამიძემ.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში (და არამარტო) ძალადობა ვერ კონტროლდება, მეტიც, წლიდან წლამდე უფრო და უფრო იმატებს. მისი ფორმები ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება და მასთან გამკლავება ძალიან დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული, თუმცა არც შეუძლებელია.

მთავრობის თავმჯდომარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძე ხულოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ინტენსიურად მიმდინარეობს. რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია უტარდება ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის 47-კილომეტრიან მონაკვეთს. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი წერეთელმა დაათვალიერეს.

პროექტი ქუვეითის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. ამ ეტაპზე ასფალტ-ბეტონის საფარი დაგებულია 21 კილომეტრზე, ხოლო დანარჩენ მონაკვეთებზე მიმდინარეობს მიწის ექსკავაციისა და საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხი. განახლებული გზით, ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დრო 1,5 საათით შემცირდება. სარეაბილიტაციო მონაკვეთი დაბა ხულოდან იწყება, გაივლის გოდერძის უღელტეხილს და ადიგენის სოფელ ზარზმამდე მივა.

სოფელ ვაშლოვანში აქტიურად მიმდინარეობს ახალი სკოლისა და საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა. ამ დროისთვის დასრულებულია 350 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა და მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები. ახალი სკოლა იქნება სრულად ადაპტირებული, ენერგოეფექტური, განთავსდება ლაბორატორიები, სააქტო დარბაზი. სკოლის ღია მოედანს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია.

დაბების და სოფლების წყალმომარაგების და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, ხულოში სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. პროექტის ფარგლებში, დაბა ხულოში და 11 სოფელში სრულად განახლდება სანიაღვრე არხები. მუნიციპალიტეტის 1600-ზე მეტი ოჯახი წყალმომარაგებით ისარგებლებს. აშენდება წყლის 3 სათავე ნაგებობა, 12 რეზერვუარი და წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, მოეწყობა წყალმომარაგების მაგისტრალური და გამანაწილებელი მილები და წყალარინების სისტემები.

მენეჯერი, მასწავლებელი, ლექტორი

2014 წლიდან ხიჭაურის დასახლებაში ბაგა-ბაღი მოქმედებს, რომელსაც პირველივე დღიდან სათავეში ჩაუდგა ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს მკვიდრი მადონა არძენაძე

- საჯარო სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ხიჭაურის დასახლებაში საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტი გაიხსნა. ჩვენი სკოლის პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ინფორმაციას გვაწვდიდნენ ამ საგანმანათლებლო კერის დანიშნულებასა და როლზე აჭარის მთიანეთისა და ქვეყნის სხვა რეგიონების ახალგაზრდების სწავლა-განათლებასა და კულტურულ დაწინაურებაში. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მის კედლებში მივიღებდი საბაკალავრო განათლებას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით, დავამთავრებდი მაგისტრატურას ენათმეცნიერების მიმართულებით და უნივერსიტეტის სტუდენტებთან წავიკითხავდი ლექციებს ინკლუზიურ განათლებაში, ამასთან, ვიქნებოდი ხიჭაურის ბაგა-ბაღის მენეჯერი და ტაკიძეების საჯარო სკოლას მიერთებული კლასების მასწავლებელი, სადაც გაკვეთილებს ვატარებ ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებაში. ამ გეოგრაფიულ არეალთან დაახლოება ოჯახის შექმნამ განაპირობა. მეუღლე ზორბეგ ქარცივაძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იყო. ახლა ამ წარმომადგენლობით ორგანოში აპარატის უფროსია.

- ყოველივე ჩამოთვლილს ორი შვილის აღზრდა, ოჯახის საქმე ემატება... როგორ ანაწილებთ დროს?

- სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონი ხშირად გვმოძღვრავს: ადამიანმა უფლის სიყვარულით უნდა იცოცხლო და იცხოვრო. პირველ რიგში, უფალი მაძლევს ენერგიას, შესაძლებლობას, რომ ბოძებული დრო მაქსიმალურად გამოვიყენო. ხალისით მივდივარ ბაგა-ბაღში, მერე მოსწავლეებს გაკვეთილებს ვუტარებ და, რაც მთავარია, ლექციებს ვუკითხავ იმ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებთანაც ასაკობრივი სხვაობა თითქმის არ მაქვს - მეც მათი თაობის ვარ და მსურს, თავი დავამახსოვრო როგორც კარგმა ლექტორმა. ყველა ობიექტზე მუშაობას პასუხისმგებლობით ვუდგები. ძალიან ვამაყობ, როცა საცხოვრებელი სახლის კიბეებს ავივლი, ბინის კარს შევაღებ და მოსიყვარულე სესილი და თადეოზი შემომეგებებიან. მინდა დედობრივი ალერსი და სითბო არ მოვაკლო მათ, სიყვარული გავუნაწილო. სესილი უკვე მოსწავლეა, თადეოზი - ბაგა-ბაღის აღსაზრდელი. ამა წლის დასაწყისში ოჯახის უხუცესს, საუკუნეს მიტანებულ მირიან ქარცივაძეს სამუდამო განსასვენებელი მივუჩინეთ. მისი ბრძნული შეგონებები ცხოვრების გზაზე მუდამ გამყვება. სამწუხაროდ, ტაკიძეებელი ქარცივაძეების რძალი რომ გავხდი, მამამთილი გურამ ქარცივაძე უკვე გარდაცვლილი იყო. ამაგს ვერ დავუკარგავ დედამთილ ზაირა მიქელაძე-ქარცივაძეს. იგი სამედიცინო სფეროში საქმიანობს. მედდას, თანაც გადაუდებელი სამედიცინო ცენტრის მუშაკს, დაძაბული სამუშაო გრაფიკი აქვს, მაგრამ შვილიშვილებს ზრუნვას არ აკლებს და საოჯახო საქმეებშიც მეხიდება.

- ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი ხართ, დაწყებით კლასებში საქმიანობთ. მიღწეულს არ სჯერდებით, არა?

- წელს დაწყებითი კლასების სასერტიფიკაციო გამოცდებს ჩავაბარებ და უფროსი მასწავლებლის წოდებას წამყვანი მასწავლებლის წოდებასაც მივუმატებ. მერე მენტორის წოდებაზეც ვიფიქრებ.

- ხიჭაურის უნივერსიტეტთან დოქტორანტურის კურსების გახსნასაც აპირებენ. გაქვთ სურვილი, რომ პირველ დოქტორანტთა შორის მოხვდეთ?

- ჯერ გაიხსნას, შემდეგ სურვილიც გაჩნდება, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული საქმიანობა უკვე დაწყებული მაქვს. ღირსეული ადამიანის რჩევით, აჭარის მთიანეთში, კერძოდ, შუახევის ტერიტორიაზე ტოპონიმ „ჯვარსა“ და ჯვრების აღმართვის თაობაზე მუშაობა დავიწყე. აქამდე არც კი ვიცოდი, რომ სანალიას მთაში არსებობდა სამი გამოქვაბული და ტერიტორიას „რკინიჯვარი“ ეწოდებოდა. ჯვრის სახელის ტოპონიმებია ქიძინიძეებში, გოგინაურში. ცინარეთელები სოფლის წყალგამყოფ ღელეს „ჯვართიღელეს“ ანუ ჯვართან ღელეს უწოდებენ. მთა ღომაზე ულამაზეს მინდორს „ჯვარის მინდორს“ ეძახიან, მის სიახლოვეს არსებულ იალაღებს - „საყენდრიას“. ამ ტერიტორიებზე შუა საუკუნეების საქარავნო გზის ერთი მიმართულება გადიოდა. სხალთელი და ბოლნელი მთავარეპისკოპოსების - მეუფე სპირიდონისა და მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით, მთა ღომას შესასვლელსა და „ჯვარის მინდორზე“ ჯვრები აღიმართა და საღვთო დღესასწაული „ჯვარობა“ დადგინდა, რომელიც ყოველი წლის აგვისტოში აღინიშნება. მე ჭვანის ხეობაში ვცხოვრობ, ვშრომობ, ოჯახს ვუძღვები. ამ ხეობის ღირსეულმა ადამიანმა, ჭალელმა სანდრო შარაშიძემ თურქოფილობის დროს გურიაში გადანახული ჯვარი 2013 წლის 28 აგვისტოს მთებზე გადმოტარებით ჭვანის ხეობაში დააბრუნა და „ჯვარიმინდვრობის“ ფესტივალს დაედო სათავე. ყველა მნახველის გაოცებას იწვევს ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მაღლა, კლდეში არსებული ბუნებრივი ჯვარი. მის მიმდებარე ტერიტორიას ღირსეულმა წინაპარმა „ჯვარიმინდორი“ უწოდა. აჭარის მთიანეთში ქრისტიანობის „გაცოცხლების“ შემდეგ, მთავარ საქმედ იყო მიჩნეული ისტორიულ ტერიტორიებზე, ყოფილ ნაეკლესიარებზე, მატერიალური კულტურის ძეგლებზე, ციხეების ნანგრევებზე ჯვრების აღმართვა. უკვე ხელთ მაქვს ზუსტი ცნობები იმ ადგილების თაობაზე, სადაც პირველად ჯვრები აღმართეს. მინდა, თქვენი გაზეთის მკითხველმა და ქრისტიანობის მიმდევრებმა იცოდნენ, რომ ჯვრების აღმართვაში დიდი წვლილი მიუძღვით მეუფე სპირიდონს, მეუფე ეფრემს, მამა სერაფიმეს, მამა გიორგის, მამა მირიანსა და სხვა ღვთისმსახურებს. იოლი არ იყო ჯვრის აღმართვა წმინდისერის გორზე, სანალიის, ჩირუხის, თაგინურის მთებში, ოთოლოთას, ცინარეთის, კავიანის ციხეებზე, ფურტიოში, ზამლეთში, ჭალაში, წაბლანაში, ტბეთში, თუნდაც ხიჭაურის დასახლებაში, სადაც ერთ დროს რუსული სასაზღვრო ნაწილი იყო და აღლუმები იმართებოდა.

- მენეჯერი, მასწავლებელი, ლექტორი - რომელ საქმეს ანიჭებთ უპირატესობას?

- ეს იგივეა, დედას ჰკითხოთ, რომელი შვილი უფრო უყვარს... ჩემთვის პატარებთან ფუსფუსი, კლასში გაკვეთილის ჩატარება, აუდიტორიაში ლექციის წაკითხვა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამ განწყობით ვიწყებ დღეს და დაღლასაც ვერ ვგრძნობ.

კლუბის ერთწლიანი მუშაობა შეაჯამეს

დაბა შუახევის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში „მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთა მეორე მუნიციპალური კლუბის“ ერთწლიანი მუშაობის შემაჯამებელი წარდგინება გაიმართა. კლუბი შუახევის რესურსცენტრის ინიციატივით და შუახევის მერიის ფინანსური მხარდაჭერით 2022 წელს შეიქმნა. იგი ორ ასაკობრივ კატეგორიად (საბაზო და საშუალო საფეხური) დაიყო, რომლებშიც სხვადასხვა სკოლის 59 მოსწავლე გაერთიანდა

მოსწავლეები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში სამი ფასილიტატორი მასწავლებლის - მალვინა ზოიძის, მზია გოგაძისა და ჯეირან ზაქარაძის ხელმძღვანელობით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებს ატარებდნენ. ათეულობით მხატვრული ლიტერატურა წაიკითხეს და დაამუშავეს, აანალიზებდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს, ირგებდნენ პერსონაჟების როლს, მსჯელობდნენ ავტორის პოზიციიდან, მართავდნენ დებატებს, განიხილავდნენ ფილმებს. კლუბის ერთწლიანი მუშაობის პერიოდი უაღრესად ნაყოფიერი და შედეგიანი იყო.

შემაჯამებელ შეხვედრას უძღვებოდა რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე. კლუბის წევრებსა და პედაგოგებს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ნატარიძე მიესალმნენ, წარმატებები უსურვეს და მხარდაჭერას შეჰპირდნენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტების განხორციელებაში.

დასასრულ, კლუბის წევრები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით, ხოლო მათი მასწავლებლები - მადლობის ბარათებით.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ნოვაცია, რომელიც ტრადიციად მკვიდრდება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მარი თაბაგარი არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულია, წარმატებით მონაწილეობს ლიტერატურულ ფესტივალებში. მას იცნობენ როგორც ნიჭიერ პოეტსა და მთარგმნელს, პროზაიკოსს, ნოვატორ, მაძიებელ პედაგოგს, რომელმაც თავისი ლიტერატურული პროექტებით (დგამს ლიტერატურულ სპექტაკლებს) მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია. ნოვაცია, რომელიც ტრადიციად მკვიდრდება, მუდამ საყურადღებოა. ქალბატონი მარი ამ სიახლეებზე გვესაუბრება

- თქვენთვის, როგორც შემოქმედისთვის, ყოველი დღე ახლის დასაწყისია, ახალი მიგნების სათავესთან მიახლოებაა.

- ყოველი დღე, უფრო მეტად, სიახლის ძიებაა, ხშირად - მოულოდნელი სიხარულის, ან მწუხარების შემოქმედიც. მიყვარს ყოველი გათენებული დილა, რომელსაც მზე მოჰყავს და ბნელს ამარცხებს, ისე, როგორც ილია ამბობს:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
და განანათლა ქვეყანა ბნელი“

და თუ ამ დღეს რაღაც ახალი და საინტერესოც მოაქვს, ეს უკვე გამართლებაა. თუმცა, საინტერესო სიახლეები ხშირად იღბლის საკითხია, ზოგჯერ - საკუთარი მცდელობის. არასოდეს უნდა შეჩერდე. ისევ ილიას და მის პერსონაჟ ლელთ ღუნიას დავესესხები: „უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის!“ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“...

- როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს, ანუ რას იტყვის მარი თაბაგარი მარი თაბაგარის შესახებ...

- მიჯობს, სხვა მაფასებდეს, სხვის აზრს ვისმენდე, საკუთარ თავზე კი მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, - ვარ საშინლად ჯიუტი, მიყვარს, რჩევას რომ მაძლევენ და არა მითითებას, საშინლად ვერ ვიტან მატყუარა, მოღალატე და მლიქვნელ ადამიანებს. მიყვარს ბუნება, ფიქრი, ზღვა და მზე.

- პედაგოგი, პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი - უკეთ რომელ სფეროში შეძელით თვითრეალიზაცია?

- განათლებისა და ხელოვნების სფეროს გამიჯვნა თუ მიწევს, დამაჯერებლად ვიტყვი, რომ ეს ორი სფერო საოცრად მეგობრობს ერთმანეთთან. მეც ერთ-ერთი ამის მაგალითი ვარ. იყო შემოქმედი ფილოლოგი, ალბათ, კიდევ ერთი პროფესიული მიმართულებაა. თითოეული მავსებს და მაბედნიერებს.

- წერთ როგორც კონვენციურ, ასევე ვერლიბრსა და თავისუფალ ლექსებს. სული საათკენ მიილტვის?

- სულს ვდებ როგორც კონვენციურ, ასევე, ვერლიბრსა და თავისუფალ ლექსში. მთავარია, მხატვრული სახე და სათქმელი მიიტანოს მკითხველამდე. უფრო მეტი მაქვს კონვენციური ლექსი, თუმცა ზუსტი რითმის გამო არასოდეს ვთმობ ლექსის შინაარსს. ყოველთვის მიჯობს, ლექსმა სათქმელი, აზრი, ემოცია არ დაკარგოს, ვიდრე ხელოვნური იერი შევძინო ზუსტი რითმის ძიებაში. თუკი ლექსში ორივე ორგანულადაა, ამას არაფერი სჯობს.

- როგორც ვიცი, ეწევით მთარგმნელობით საქმიანობას. ვის თარგმნით, არჩევანს როგორ აკეთებთ და სად აქვეყნებთ თარგმნილ ლექსებს?

- თარგმნა დავიწყე მაშინ, როცა პანდემიის პერიოდში სახლებში ჩავიკეტეთ. ბატონ ალექსანდრე ელერდაშვილს ჰქონდა „მთარგმნელთა ასოციაცია“, სადაც კარგი მკითხველი ვიყავი. ერთხელაც, ბატონმა ალექსანდრემ შემაგულიანა, თუ არასოდეს სცადე, ვერც იმას მიხვდები, შეგიძლია თუ არა თარგმნაო. მეც ვცადე. მომიწონა. თვითონვე ვხვდებოდი, რომ ყოველი შემდეგი თარგმანი წინას სჯობდა. შემდეგ ჯგუფში ვთარგმნეთ ფრანჩესკო პეტრარკას სონეტები, რომელიც ბატონმა ალექსანდრემ წიგნად გამოსცა. ასევე ვთარგმნეთ და წიგნად გამოიცა თურქი პოეტების ლექსები. მე თანამედროვე პოეტი ქალის, არზუ ქარადაღის ლექსები ვთარგმნე. ქალბატონი არზუ ამჟამად ფეისბუქმეგობარიცაა და ერთმანეთის შემოქმედებას ვეცნობით. „მთარგმნელთა ასოციაციისათვის“ ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალება დიდი ტკივილიც იყო და დანაკლისიც. ჩემი თარგმანები ასევე დაიბეჭდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯსა“ და ლიტერატურულ ჟურნალ „მწვანეყვავილაში“. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ანა ახმატოვასა და იტალიელი პოეტის ადა ნეგრის შემოქმედება.

- „ერთი მუჭა მიწა“ - თქვენ მიერ დადგმული ამ ლიტერატურული სპექტაკლის შესახებ უამბეთ მკითხველს...

- სცენარი სპექტაკლისთვის „ერთი მუჭა მიწა“ მას შემდეგ დავწერე, რაც საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლალი მელოვამ გამაცნო სკოლის პროექტი „რაც ჩვენი ნებით არ დაგვითმია, გვახსოვდეს აფხაზეთი“, რომელიც აფხაზეთის დაცემის 30-ე წლისთავს ეხმიანებოდა და რომლის ხელმძღვანელიც ჩვენი სკოლის პედაგოგი სოფო გორგილაძე იყო. ჩემი სცენარის სიუჟეტი 1991-93 წლებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს ზედმიწევნით ასახავდა. მასში გამოვიყენე მწერალ გურამ ოდიშარიას, პოეტების - დარიკო ფიფიას, ეკა ქაჯაიასა და შალვა ბაკურაძის შემოქმედება. მსახიობების შერჩევისას თუ მთლიანად რეპეტიციების მსვლელობისას, ქალბატონი ლალი გვერდით მედგა და თავისი საოცარი ხედვითა და შემოქმედებითი უნარით მეხმარებოდა. ჩვენს სკოლას ჰყავს უნიჭიერესი ბავშვებისაგან შემდგარი გუნდი „იაკამი“, რომელსაც მუსიკოსი ნინო ბიბილური ხელმძღვანელობს. მათ აფხაზეთზე შესრულებული სიმღერებით დაგვიმშვენეს სპექტაკლი. პრემიერაზე სტუმრად გვყავდნენ პოეტები, მწერლები, პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს საპატრიარქოს, მედიის, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. სპექტაკლი მეორედაც დავდგით და კვლავ საპატიო სტუმრებს ვუმასპინძლეთ. აფხაზეთში დაბრუნების იმედით შევასხი ფრთები ამ სპექტაკლს და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენმა მოსწავლეებმა სწორად მიიღეს ინფორმაცია აფხაზეთის ომსა თუ რეალურ მტერზე. და კიდევ, სპექტაკლში ჩართული იყვნენ მოსწავლეები სხვადასხვა კლასიდან. ფაქტობრივად, მთელი სკოლა მშვიდობისა და მეგობრობის სურვილითა და მუხტით იყო მოცული.

- რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ხართ. რას ნიშნავს ეს აღიარება თქვენთვის?

- წინათ მეტად მაინტერესებდა კონკურსები, ახლა ამისთვის დროც აღარ მრჩება. ორი წელია, მონაწილეობა აღარსად მიმიღია. შეიძლება, ამის მიზეზი რამდენიმე კონკურსის „შიდა სამზარეულოში“ ჩახედვაც იყოს, მაგრამ მიხარია სხვისი სიხარულიც. გამარჯვება, თავისთავად, სასიხარულოა, ყველამ უნდა გამოსცადოს, თუმცა მკითხველის აღიარებაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

- რა აზრის ხართ თანამედროვე კონკურსებსა და ფესტივალებზე, ჯილდოებსა და წოდებებზე?

- ამ კითხვას, ალბათ, ნაწილობრივ უკვე გავეცი პასუხი. დავამატებ, კონკურსებიც და ფესტივალებიც აუცილებელია. ლიტერატურისა და კონკრეტულად, შემოქმედის განვითარებას ერთიც უწყობს ხელს და მეორეც. რაც შეეხება ჯილდოსა და წოდებას, თუკი შესაბამისობაშია ადამიანის მოღვაწეობასთან, გულით მახარებს. თუმცა, ხშირად პოლიტიკურ ვნებათაღელვას გადავაყოლებთ ხოლმე ღირსეული ადამიანის ღვაწლს და ასე გვრჩება უყურადღებოდ.

- მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება გაქვთ. როგორ დააკვალიანებდით მათ, ვინც ახლა გამოდის ამ ასპარეზზე?

- ნებისმიერ პროფესიაში ასეა - ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე. პედაგოგისათვის კი უმნიშვნელოვანესია, უყვარდეს როგორც წინამორბედი, ასევე, მომავალი თაობაც. როგორ შვილებსაც გავზრდით, ის სულიერება, შემართება და ბედ-იღბალი ექნება ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოსაც. აქვე დავძენ, საოცარი თაობა მოდის, მებრძოლი სულითა და თავისუფლების წყურვილით სავსე. მთავარია, უტყუარი, ობიექტური ინფორმაცია ჰქონდეთ წარსულზე, შავსა და თეთრს კი თვითონაც ადვილად გაარჩევენ. ჩემი ნება რომ იყოს, ბავშვის აღზრდის თეორიას ილიასა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე დავაფუძნებდი.

- თქვენ და ოჯახი...

- ოჯახი ჩემთვის წმინდათაწმინდაა. გავიზარდე სიყვარულითა და სითბოთი სავსე ოჯახში, სადაც თანადგომა, ერთგულება და სიკეთე იყო ყოველი დღის საგზალი. სრულიად ვეთანხმები მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს: „შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის!“

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- ჩემს თავისუფალ დროს, რომელიც ძალიან მწირია, შემოქმედებას, შვილსა და მეგობრებს ვუნაწილებ.

- დაასახელეთ წიგნი, რომელიც თქვენი მუდმივი მასაზრდოებელი და მასწავლებელია...

- განა შეიძლება, ერს ჰქონდეს მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრი, რომელიც მეგობრობასა და სიყვარულს ბიბლიასავით გასწავლის, რომელიც გეუბნება, რომ პოეზია სიბრძნის დარგია, რომელსაც ჰყავს საოცარი, ზნემაღალი, გონიერი, კეთილშობილი პერსონაჟი ავთანდილის სახით და სხვა წიგნი გაიხადო მრჩევლად და მასწავლებლად?! „ვეფხისტყაოსანი“ ხორცშესხმული მოძღვარია.

ასევე, მხიბლავს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ თავისი ბობოქარი და ბრძენი პერსონაჟებით, მწერლის მიერ შექმნილი მეფე გიორგის სახე, დაკვირვებული და ქვემძრომი ფარსმანი, მოუდრეკელი არსაკიძე, რომელიც ღმერთსაც კი თავს უტოლებს. მისი მოსაზრებაც ხომ ასეთია: „საპატიო ვალია კაცისა, არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავათ უნდა გახდეს შემომქმედი უფლის მეტოქედ“. მომწონს მისი შემართება და დაუმორჩილებელი ხასიათი. ტბასა და ზღვას შორის ყოველთვის ბობოქარ, მჩქეფარე, მოუდრეკელ ზღვას ვარჩევ...

- რომელი წიგნის პერსონაჟთან ივახშმებდით?

- ის უსათუოდ იქნებოდა დათა თუთაშხია. ყოველთვის კეთილი შურით მშურდა ნანო თავყელიშვილისა. დათა - გონიერი, საზრიანი, საინტერესოდ მოსაუბრე, სიკეთით სავსე, ქალთან ქცევის კულტურით გამორჩეული, უშიშარი და სამართლიანობისათვის მებრძოლი პიროვნებაა, ადამიანი, რომელსაც მგონია, რომ მხოლოდ „ვაშლის გაფცქვნა“ შეიძლება შეეშალოს. სამაგიეროდ, სარეველასაგან „ბოსტნის გამარგვლა“ და ბოროტებისათვის ხელების მოკვეთა არ ეშლება. და ისიც იცის, „სანამ ანთიხარ, ისე უნდა ენთო, რომ სხვაც აანთოს შენმა სიცოცხლემ!“

- დღევანდელ საქართველოს რომელ მოთხრობას შეადარებდით?

- მოთხრობას - არა, შევადარებდი გურამ დოჩანაშვილის რომანს „სამოსელი პირველი“. თითქოს ყველანი დომენიკოდ ვართ ქცეული, ვეძებთ თავგადასავლებს, ვივიწყებთ ფესვებს, რამაც აქამდე მოგვიყვანა და ვეძებთ რაღაც ახალსა და ლამაზს („ლამაზ ქალაქს“). როცა საკუთარ თავზე ვიწვნევთ ბოროტების, ღალატის, მტრობის კლანჭებს, როცა ღორების ფერმის მწყემსადაც ვიქცევით და გადამთიელი ღორის სალაფავს შემოგვატყუებს, მერე გვახსენდება ვინ ვიყავით და საიდან მოვდივართ. ჰო, რატომღაც უძღები შვილები ვართ. სიახლის ძიების მომხრე ნამდვილად ვარ, მაგრამ არა იმ უმთავრესი საძირკვლის დარღვევის ხარჯზე.

- ფრაზა, სიტყვა, გრძნობა, რომელიც მუდამ თან გახლავთ...

- „მამული, ენა, სარწმუნოება!“

ბათუმი 30-წლიანი პაუზის შემდეგ აფროსნობის ტურნირს უმასპინძლებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

21-23 ივნისს, ბათუმში, 30-წლიანი პაუზის შემდეგ, აფროსნობის ტურნირი გაიმართება, რომელშიც ბათუმის, ფოთისა და თბილისის აფროსანთა კლუბები მიიღებენ მონაწილეობას

ასპარეზობაში პატარებთან ერთად, უფროსი ასაკის აფროსნებიც ჩაერთვებიან.

ტურნირის ორგანიზატორი აჭარის აფროსანთა ფედერაციაა, რომელიც 2023 წელს დაფუძნდა. ფედერაციის აფროსნობის სკოლაში მოზარდებს საშუალება აქვთ, სრულიად უფასოდ დაეუფლონ სპორტის ამ სახეობას და მიიღონ ყველა საჭირო სერვისი, რაც მათ პროფესიულ ზრდაში დაეხმარება.

საზეიმო ცერემონიას ადგილობრივი ხელისუფლების, სპორტის სხვადასხვა სახეობისა და სფეროს წარმომადგენლები დაესწრებიან. სამი დღის განმავლობაში, ზღვისპირა ქალაქი შთამბეჭდავი სპორტული შეჯიბრის ეპიცენტრი გახდება.

ბათუმის აფროსანთა კლუბი-სკოლა, მოყვარულ მეთევზეთა კლუბ „დელფინის“ ინიციატივით დაფუძნდა, რომელიც სახელგანთქმულ ბათუმელ აფროსნებს აერთიანებს. სკოლა აღჭურვილია, აფროსნობისთვის საჭირო თანამედროვე წყალზე მცურავი ტექნიკითა და აპარატურით, რომლის მოდერნიზება ისევ გაგრძელდება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ უახლოეს მომავალში აჭარის აფროსნობის ფედერაცია გეგმავს შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისა და მოზარდების მიღებას სკოლაში. შესაბამისი ინვენტარის შეძენაზე ზრუნვა უკვე დაწყებულია. სპორტსმენებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ პარასპორტულ ღონისძიებებში საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე.

ბათუმელი მოზარდების გაწვრთნაზე, ტიტულოვანი ქართველი აფროსანი მიხეილ კილასონია ზრუნავს, რომელიც მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე, სპორტსმენების პროფესიონალ გუნდთან ერთად მუშაობს.

საქართველოში აფროსნობის განვითარებას საფუძველი XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა. სიმბოლურია, რომ პირველი იახტკლუბი სწორედ ბათუმში გაიხსნა უცხოელ დიპლომატთა და მეწარმეთა სახსრებით, რომელმაც 1920-იან წლებამდე იარსება. 1924-30 წლებში ბათუმის საზღვაო სადგურის მეზღვაურთა ინიციატივით, აფროსანთა არაერთი შეჯიბრება გაიმართა, 1931 წელს კი მოეწყო პირველი გაცურვა ბათუმიდან სოხუმამდე და უკან. მოგვიანებით, საქართველოს აფროსნები „დ-1“ და „ს-60“ ნავებით სევასტოპოლსა და ოდესაში ჩავიდნენ. პირველი თაობის წარმატებული აფროსნები იყვნენ ანასტას ავალიშვილი, შაენ ავაქოვი და მიხეილ ქორიძე. 1950-იან წლებში ბათუმში ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ გივი კალანდაძე და ნიკოლოზ კადიევი, სოხუმში - ვალერი მანშინი და სერგეი ლაპუშკინი, ფოთში - თამაზ ზოიძე, თბილისში - რევაზ გაჩეჩილაძე, ჯონი ბეიტრიშვილი და ნიკო ენუქიძე.

1963 წელს გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ფოთის აფროსნები. 1964 წლიდან საქართველოს გუნდი სისტემატურად გამოდიოდა სსრკ ჩემპიონატებსა და ხალხთა სპარტაკიადებში.

1994 წელს მოხდა ბათუმის აფროსანთა სკოლის შენობის დემონტაჟი და გაუქმდა კლუბიც, რამაც სპორტის ამ სახეობის განვითარება, სრულად შეაჩერა.

- დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შრომისა და თითოეული ბათუმელის დიდი ძალისხმევით, აფროსნული სპორტული სკოლა წარმატებული იქნება და არაერთ ღირსეულ სპორტსმენს გაუზრდის ქალაქსა და ქვეყანას, - გვითხრა აჭარის აფროსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიხეილ კილასონიამ.

მატჩი, რომელმაც საოცარი ემოციები დაგვიტოვა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ამ ფაქტს 30 წელზე მეტხანს ელოდა ქართველი გულშემატკივარი. სწორედ 18 ივნისს დადგა დღე, როცა მთელმა თუ არა, ნახევარმა მსოფლიომ დორტმუნდის ერთ-ერთ უდიდეს სტადიონზე აყღერებული საქართველოს ეროვნული ჰიმნი მოისმინა და ნაკრებმა ამ დიდ სპორტულ ფორუმზე პირველი თამაშიც გამართა. ჯგუფში პირველ მატჩში საქართველოს მეტოქე გამოცდილი თურქეთის ნაკრები იყო. ჩვენმა გუნდმა, მიუხედავად კარგი თამაშისა, მატჩი ანგარიშით 3:1 წააგო

ანგარიში 25-ე წუთზე თურქეთის ნაკრებმა გახსნა, საქართველოს ნაკრებიდან პირველი - ისტორიული და სადებიუტო გოლი გიორგი მიქაუტაძემ მიითვალა, რომელმაც გიორგი ქოჩორაშვილის ჩაწოდება კარგად გამოიყენა - გოლი 32-ე წუთზე გაიტანა და ტაბლოზე საყაიმო ანგარიში - 1:1 გამოჩნდა.

შეხვედრის პირველი ნახევარი ასე დასრულდა. მეორე ტაიმში თურქმა ფეხბურთელებმა კიდევ ორი გოლის გატანა შეძლეს. რატომ დავმარცხდით? პირველი, რასაც ყველა აღნიშნავს, უიღბლობაა - გამოუყენებელი შანსები, რაზეც გული ყველას გვწყდება. ბოლო წუთზე მამარდაშვილი მეტოქის საჯარიმოში „ჩავიდა“, ალბათ, იმედით, რომ ანგარიშს გავათანაბრებდით, მაგრამ... გოლი საკუთარ კარში მივიღეთ.

როგორც ქართველმა ფეხბურთელებმა აღნიშნეს, უფრო კარგ შედეგს იმსახურებდნენ. პირველი 15-20 წუთი გაუჭირდათ, მაგრამ შემდეგ იპოვეს ძალა... მიუხედავად წაგებისა, ჩვენმა ფეხბურთელებმა ცუდად ნამდვილად არ ითამაშეს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ შეუძლებელია, გახარებული იყოს, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ის ამაყობს თავისი გუნდის თამაშით. მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, ეს მარცხი გამოცდილებისთვის გამოიყენონ: „არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით. საკმაოდ კარგი მატჩი იყო, ბედნიერი ვარ იმით, რა ფეხბურთიც ვითამაშეთ. ევროპის ჩემპიონატზე თამაში დიდი

ბისთვის უნდა გამოვიყენოთ. ფეხბურთელებზე კარგის გარდა ვერაფერს ვიტყვი. მატჩი ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონზე ვითამაშეთ, სადაც შესანიშნავი ატმოსფერო იყო“.

მატჩს მთელი საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში უყურებდნენ ღია სივრცეებში სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე. ბათუმშიც ასე იყო. ერთ-ერთი სივრცე გულშემატკივარს „აჭარაბეთ სტადიონის“ ხელმძღვანელობამ შესთავაზა. აქ ასობით გულშემატკივართან ერთად უყურებდნენ მატჩს ჩვენი ვეტერანი სპორტსმენები, მათ შორის რევაზ ჩელებაძე, ასლან ბალაძე, ვახტანგ

ბლაგიძე, ასევე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე. მატჩის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები მადგამოცდილებაა და განვითარებაში ეს მატჩები აუცილებლად დაგვეხმარება. ტურნირს ყველამ სხვა თვალით უნდა შევხედოთ. ეს არის საქართველოსთვის ჯილდო, რომელიც მას განვითარებაში დაეხმარება. მთავარია, კარგი მატჩები ჩავატაროთ. დარწმუნებული ვართ, რომ შაბათსაც იგივე ფეხბურთს ვაჩვენებთ. მიქაუტაძემ ისტორიული გოლი გაიტანა და მისი წარმატება მიხარია. მოსაგებად რა დაგვაკლდა? არ ვიცი, ალბათ, მაინც გამოცდილება. მჯერა, რომ საქართველო მსგავს შეხვედრას მომავალში აღარ წააგებს. ეს მარცხი გამოცდილებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ფეხბურთელებზე კარგის გარდა ვერაფერს ვიტყვი. მატჩი ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონზე ვითამაშეთ, სადაც შესანიშნავი ატმოსფერო იყო“.

მატჩს მთელი საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში უყურებდნენ ღია სივრცეებში სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე. ბათუმშიც ასე იყო. ერთ-ერთი სივრცე გულშემატკივარს „აჭარაბეთ სტადიონის“ ხელმძღვანელობამ შესთავაზა. აქ ასობით გულშემატკივართან ერთად უყურებდნენ მატჩს ჩვენი ვეტერანი სპორტსმენები, მათ შორის რევაზ ჩელებაძე, ასლან ბალაძე, ვახტანგ ბლაგიძე, ასევე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე. მატჩის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები მადლობას უხდიდნენ გულშემატკივრობისთვის ყველას, მათ, ვინც სტადიონზე მოახერხა მისვლა და მათ, ვინც ღია სივრცეში თუ სახლში უყურებდა ფეხბურთს. ქართველი ფეხბურთელების თამაშს დადებითად გამოეხმაურნენ უცხოეთის პრესაში. „თურქეთისა და საქართველოს მატჩმა ევროპის ჩემპიონატი ახალ დონეზე აიყვანა“, - წერს „გარდიანი“.

„საქართველო, რომელიც პირველად თამაშობს ევროპაზე, მამაცურად იბრძოდა და კინაღამ გაათანაბრა ანგარიში“ - BBC. „თურქეთმა მოიგო მატჩი, საქართველომ კი ჩვენი გული“, - წერს უცხოელი გულშემეტკივარი. მატჩის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ რევაზ ჩელებაძეს.

- ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად ვნახე, ამდენი საგოლე მომენტი რომ ვერ გამოიყენეს. ასეთი უიღბლობა კარგა ხანია არ მინახავს, ბიჭებმა ითამაშეს ბრწყინვალედ - თავის თავს „გადაახტნენ“, თუმცა, მათ ბევრად უკეთესი თამაში შეუძლიათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟარგონით ვიტყვი, რომ „საკაიფო“ თამაში ვიხილეთ, მომენტებით დახუნძლული, თურქებს თავიდან სადავეები მივეცით, რაც არ იყო საჭირო. რომ გვიჭირდა, მაშინ ვუტევდით... ჩემი პროგნოზი ასეთია (და მინდა გამართლდეს) - დარჩენილი ორი თამაშიდან ერთს მოვიგებთ და ერთსაც ფრედ დავასრულებთ.

საქართველოს მატჩის შემდეგ, დორტმუნდის სტადიონზე ერთმანეთს პორტუგალიისა და ჩეხეთის გუნდები დაუპირისპირდნენ, პორტუგალიამ ჩეხეთი 2:1 დაამარცხა.

მეორე ტური დაიწყო, გერმანია უნგრეთს ეთამაშება, შოტლანდია - შვეიცარიას, ალბანეთი - ხორვატიას.

ქართველები შემდეგ მატჩს 22 ივნისს ჰამბურგში ჩეხეთის ნაკრებთან გამართავენ, 26 ივნისს კი პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს შეეხვდებით. ქომაგები ამბობენ, რომ ყველაფერი წინაა, ჯერ არაფერი დასრულებულა. მადლობა ბიჭებს, რომ ბოლომდე დაიხარჯნენ, მოლოდინს გადააჭარბეს, ამ მატჩმა საოცარი ემოციები დაგვიტოვა. წარმატება ვუსურვოთ ბიჭებს და სრულიად საქართველოს!

„ ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად ვნახე, ამდენი საგოლე მომენტი რომ ვერ გამოიყენეს. ასეთი უიღბლობა კარგა ხანია არ მინახავს, ბიჭებმა ითამაშეს ბრწყინვალედ - თავის თავს „გადაახტნენ“, თუმცა, მათ ბევრად უკეთესი თამაში შეუძლიათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟარგონით ვიტყვი, რომ „საკაიფო“ თამაში ვიხილეთ, მომენტებით დახუნძლული, თურქებს თავიდან სადავეები მივეცით, რაც არ იყო საჭირო. რომ გვიჭირდა, მაშინ ვუტევდით... ჩემი პროგნოზი ასეთია (და მინდა გამართლდეს) - დარჩენილი ორი თამაშიდან ერთს მოვიგებთ და ერთსაც ფრედ დავასრულებთ

მაგალითი

ბედნიერება, რომელიც ფიზიკურ განსხვავებულობაში და ბრძოლაში გამარჯვებით მოიპოვა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

შეზღუდული შესაძლებლობა რომ არ არსებობს იმათთვის, ვისაც მიზანი აქვს და მის მისაღწევად ფიზიკური პრობლემების მიუხედავად, თავგანწირვით იბრძვის, ეს ჩემმა რესპონდენტმა არაერთხელ დაამტკიცა. ***ნინო ნოღაიდელმა*** *შეძლო ისე ცხოვრება, სიბრალულის ნაცვლად საზოგადოების ყურადღება, უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა. მან თავისი მაგალითით ბევრს დაუმტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერია, ცდილობს სხვებსაც დაეხმაროს და გაუადვილოს ყოფა.*

- როდის გააცნობიერეთ, რომ სხვებისგან განსხვავებული იყავით და რა შეიცვალა თქვენში ამ დროს?

- სამი წლის ასაკში დავკარგე მოძრაობის უნარი და გავხდი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი. არ მახსოვს განსხვავებულობა როდის აღვიქვი, მაგრამ ის მახსოვს ბუნდოვნად, როგორ ვადარებდი არა მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს ტიპური განვითარების ბავშვებთან, არამედ მათ შესაძლებლობებსაც ჩემთან. თუ მათ შეეძლოთ სიარული, მე ვმღეროდი, ვაკეთებდი პაროდიებს უმოძრაოდ (ამბობდნენ, რომ კარგად), ვდგამდი სცენებს... ვხატავდი, ვკერავდი, ვქსოვდი.

- როგორია ცხოვრება ამ სტატუსის მქონე ადამიანისთვის?

- შშმ ადამიანის ცხოვრება საკმაოდ რთული.

ყოველდღიურად გვიწევს ბრძოლა სხვების თანასწორად ცხოვრებისთვის, მაგრამ, ამავდროულად, საინტერესოც არის ბევრი რამის გამო.

- სოციალური ქსელის როლი როგორია თქვენს ყოველდღიურობაში?

- სოციალურ ქსელს აქტიურად ვიყენებ. ძალიან მეხმარება ბევრი მიმართულებით.

- თქვენი ერთი დღე...

- დილას ჭიქა ყავით და ინფორმაციის გაცნობით ვიწყებ. შემოსულ შეტყობინებებს ვპასუხობ. დილიდან აქტიური ვარ, ჩემი ტელეფონი თითქმის არ ჩერდება. შემდეგ, თუ სამუშაო შეხვედრა მაქვს, ვიწყებ მის ორგანიზებას და ადრე გავდივარ სახლიდან.

- რას საქმიანობთ, რა ინტერესები გაქვთ?

- 2016 წელს ქობულეთის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შეიქმნა, რომლის თავმჯდომარე ქობულეთის მერია, წევრები - მერიის სამსახურის ხელმძღვანელები და შშმ ექვსი პირი. საბჭოს წევრი ვარ დღემდე, 2019 წლიდან - ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საჭოს წევრი. 2020 წელს მეგობრებთან ერთად დავაფუძნე საქველმოქმედო ფონდი „1ad.Toghetter“. 2021 წლიდან დღემდე ქობულეთის მერის მრჩეველი ვარ შშმ პირთა საკითხებში, 2021 წლიდან - „ქართული ოცნების“ წევრი და 2022 წლიდან „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის წევრი გახლავართ. ჩემი მიზანი იყო და არის შშმ თემის მიმართ ცნობიერების ამაღლება და რაც შეიძლება მეტად საზოგადოების დაინტერესება. ვოცნებობ და მჯერა, ერთად შევქმნით საქართველოს უკეთეს მომავალს.

- იმ საჯარო სივრცეებში, რომლებსაც სტუმრობთ, გადაადგილების მხრივ რა პირობებია და რის გამოსწორებას ისურვებდით?

- შედარება არაა იმასთან, რაც, მაგალითად, ათი წლის წინათ იყო. შშმ პირები ეზოშიც კი ვერ გადიოდნენ, დღეს კი დამოუკიდებლად გადაადგილებაა შესაძლებელი. ქობულეთის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ ბევრი რამ შეცვალა. საბჭო გახდა ხიდი თემსა და ადგილობრივ ხელმძღვანელობას შორის. ფიზიკური გარემოს, მუნიციპალური ავტობუსის, საჯარო სივრცეების ადაპტირება ცნობიერების ამაღლებამ და შშმ თემის აქტიურობამ მოიტანა. გამოწვევა, რა თქმა უნდა, არის და მუდამ იქნება. ვიცით, რომ ყველა ადამიანის უფლებაა, ცხოვრობდეს ღირსეულად.

- პანდუსებს, სხვა აუცილებელი პირობების შექმნას დღეს დიდი ყურადღება ეთმობა. შენობებში ამონტაჟებენ ლიფტებს. არის თუ არა ეს საკმარისი და რის შეცვლას ისურვებდით?

- ვისურვებდი, რომ არ ვიკითხო იმ სივრცეში, შენობა-ნაგებობაში, რომელსაც არ ვიცნობ, შევძლებ თუ არა დახმარების გარეშე მისვლას და გადაადგილებას. მჯერა, რომ აუცილებლად გამოსწორდება ყველაფერი.

- შშმ სტატუსის მქონე ადამიანებს როგორ გაამხნევებთ?

- ბედნიერება არ არის მხოლოდ შეუზღუდავ შესაძლებლობაში. ბედნიერება თითოეულ ჩვენგანშია, ბედნიერება ბრძოლაში გამარჯვებაა. პირადად მე ბედნიერება ფიზიკურმა განსხვავებულობამ, ჩემმა ყველაზე ლამაზმა სამკაულმა - ეტლმა მომიტანა, რომელიც ჩემი სულის და სხეულის ნაწილი გახდა.

ისტორიული ფაქტი – ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენი ქალაქი ორ დღეს მასპინძლობდა ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს, რომლის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი კომპოზიტორის მოსწავლე და კურსდამთავრებული ნიკა ნიკვაშვილი გახლავთ

ბათუმის გარდა, ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ორი საღამო - თბილისსა და სიღნაღში. ლუიჯი ქერუბინის „მედეა“ საქართველოში პირველად ბათუმში აჟღერდა.

ფესტივალი 14 ივნისს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში ზემოთ აღნიშნული ოპერით გაიხსნა. საღამოს დაწყებამდე ფესტივალისა და მონაწილეთა შესახებ მომღერალმა სოფო ხალვაშმა ისაუბრა. როგორც აღვნიშნეთ, ეს ოპერა საქართველოში პირველად ბათუმში აჟღერდა. სიმბოლურია, რომ ბიძინა კვერნაძეს თავადაც აქვს შექმნილი ოპერა სახელწოდებით „მედეა“, რომლის ფრაგმენტითაც გაიხსნა ფესტივალი.

ქერუბინის ოპერა „მედეა“ წარმოდგენილი იყო ევროპული ცნობილი საოპერო თეატრების რეპერტუარის მიხედვით, სადაც მთავარი პარტია მედეას როლის საუკეთესო შემსრულებელმა, მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა სოპრანო იანო ალიბეგაშვილმა შეასრულა. მომღერალმა თბილისის კონსერვატორიის დამთავრებისა და ერთ-ერთ საერთაშორისო კონკურსზე სტიპენდიის მოპოვების შემდეგ, სწავლა ოზიმოს აკადემიაში განაგრძო. მისი დებიუტი 1992 წელს, პეზაროს როსინის ფესტივალზე შედგა. ეს დიდი წარმატება იყო, რომლის შემდეგაც მას საშუალება მიეცა, მსოფლიოს ისეთ წამყვან საოპერო სცენებზე ემუშავა, როგორებიცაა: მილანის „ლა სკალას“, ლონდონის - „ქოვენთ გარდენის“, ბერლინის საოპერო, მადრიდის სამეფო, ბარსელონას ლიცეუს დიდ, სან-ფრანცისკოს საოპერო თეატრებში. 1997 წლიდან ის ხანგრძლივად თანამშრომლობდა ვენის სახელმწიფო ოპერის თეატრთან, სადაც პარტნიორობას ცნობილი საოპერო მომღერლები უწევდნენ, მათ შორის პლასიდო დომინგო. ვალე დიტრიას ფესტივალზე მისი ორი ყველაზე მნიშვნელოვანი როლის პრემიერა შედგა - მედეა ქერუბინის ამავე სახელწოდების ოპერის ფრანგულ ვერსიაში და ლედი მაკბეტი ვერდის „მაკბეტში“, ასევე, სხვადასხვა ოპერიდან არაერთი პარტია შეასრულა. ასეთი მომღერლის ბათუმში გამოსვლა, რა თქმა უნდა, სასიხარულოა.

ორკესტრს დირიჟორობდა ფესტივალზე ნორვეგიიდან მოწვეული დამდგმელი დირიჟორი, სახელგანთქმული საოპერო არტისტი ენ რენდინ ოვერბი. ის დირიჟორი, პროდიუსერი და ნორვეგიაში მეორე უდიდესი საოპერო თეატრის - ბერგენის ოპერის დამაარსებელია.

კონცერტში მონაწილეობდნენ ალბანელი იოსიფ ჯიპალი, რომელიც გამოდიოდა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ თეატრებში, რამაზ ჩიკვილაძე, რომელსაც ბევრი მიწვევა აქვს სხვადასხვა ცნობილ საოპერო სცენაზე, ალბანელი არდიტა მენი - ტირანას ხელოვნების უნივერსიტეტის ვოკალის პედაგოგი და ლირიკული სოპრანო, ასევე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა.

- ეს დღე ჩვენთვის საზეიმო და დასამახსოვრებელია, რადგან ჩვენი კაპელა შესანიშნავ მომღერალთან ერთად მღეროდა. აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ იანო ალიბეგაშვილმა რამდენჯერმე ახსენა ჩვენი გუნდი. ისეთ ვარსკვლავთან ვიმღერებთ, რომ, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი გამოსვლა გვქონდა. დიდი მადლობა ნიკა ნიკვაშვილს, რომ გვენდო და ასეთი შესანიშნავი ნაწარმოები შეგვასწავლა. აღსანიშნავია, რომ თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრანტებს ათი ბათუმელი მუსიკოსი შეემატა, - გვითხრა კაპელის მთავარმა ქორმაისტერმა ქეთევან მანელიშვილმა.

- „მედეას“ პირველი შესრულება იყო საქართველოში და ამისთვის მსოფლიოში აღიარებული მომღერალი იანო ალიბეგაშვილი ბათუმში ჩამოვიდა, ასევე - დირიჟორი. ჩვენი სტუმარი იყო შესანიშნავი მომღერლები რამაზ ჩიკვილაძე და არდიტა მენი. ორკესტრი იყო არაჩვეულებრივი. ყველას მადლობა მინდა გადავუხადო, ვინც გვერდში უდგას ფესტივალს. მეორე დღეც არაჩვეულებრივი იყო, რადგან თავად ვაჟა აზარაშვილის მუსიკა არის შესანიშნავი და ყველასთვის ახლობელი. ფესტივალი გრძელდება და ის, რომ იგი ტრადიციულია, ძალიან კარგია, - აღნიშნა ნიკა ნიკვაშვილმა.

- ბათუმის საზოგადოებას არაერთხელ შევხვედრივარ, ჯერ კიდევ სტუდენტობისას ვმღეროდი აქ. მაშინაც ძალიან თბილად მიმიღო მსმენელმა და იმთავითვე შედგა ულამაზესი ურთიერთობა. რაც შეეხება დღევანდელ საღამოს, აქაურმა მსმენელმა პირველად მოისმინა ქერუბინის „მედეა“. ეს ფაქტი ისტორიული მნიშვნელობისაა და ძალიან ბედნიერი ვარ. უღრმესი მადლობა სიყვარულისთვის და იმ სითბოსთვის, რომელიც ჩემდამი გამოხატეთ, - გვითხრა იანო ალიბეგაშვილმა.

ფესტივალის ერთი დღე ვაჟა აზარაშვილის სიმღერებს დაეთმო, რომელთა მაესტრო ნიკა ნიკვაშვილისეული ვერსიები სცენაზე მომღერლებმა თამარ გვერდწითელმა, გიორგი სუხიტაშვილმა, სოფო ხალვაშმა შეასრულეს. საღამო ნიკოლოზ წულუკიძეს მიჰყავდა. შესრულდა ვაჟა აზარაშვილის მიერ შექმნილი შედევრები, როგორც თეატრისთვის, ისე კინოსთვის, ასევე, საესტრადო ნაწარმოებები.

- მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა, მესაუბრა ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე, რომელმაც გენიალური შემოქმედება დაგვიტოვა. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი კი ნიკა ნიკვაშვილი გახლდათ, რომელიც დიდი მენეჯერული თვისებებითაც გამოირჩევა და მუსიკალური ნიჭიერებითაც. მიხარია, რომ ბიძინა კვერნაძის სახელობის ფესტივალი სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. ვაჟა აზარაშვილი იყო უკეთილშობილესი, საოცრად პატივსაცემი ადამიანი, თავის ქება არ უყვარდა, სხვის პოპულარიზაციას ეწეოდა. შესაძლოა, ამ თავმდაბლობით დააკლო კიდეც თავს, მაგრამ ისეთი უკვდავი მუსიკა დაწერა, რომ მუდამ ეყვარებათ, - აღნიშნა ნიკა წულუკიძემ.

- მადლობა მინდა ვუთხრა მაყურებელს იმ სითბოსთვის, რომელიც დარბაზიდან მოდიოდა. რაც შეეხება ბატონ ვაჟას, ის ყველაფრით გამორჩეული ადამიანი იყო, დიდთან - დიდი, პატარასთან - პატარა. მისი მუსიკა მუდამ უნდა ჟღერდეს, - გვითხრა გიორგი სუხიტაშვილმა.

- ფესტივალი, რომელიც ბიძინას სახელს ატარებს და რომელიც სამი წელია, რაც დაფუძნდა, წელს ბათუმში გაიხსნა, არა მხოლოდ ქალაქისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ მთელი საქართველოსთვის. წელსაც ძალიან კარგად წარიმართა ყველაფერი. ყველას მადლობა ამისთვის, - აღნიშნა სოფო ხალვაშმა.

თამარ გვერდწითელმა „აჭარასთან“ საუბარში გამორჩეულად გადაუხადა მადლობა ბათუმელ მსმენელს, რომელიც ყოველთვის გულთბილად ხვდება.

29 ივნისს ფესტივალს თბილისი უმასპინძლებს, სადაც გალაკონცერტი გაიმართება. ქართული თეატრისა და კინოს აკადემიური მუსიკის შედევრებს ნიკა ნიკვაშვილი ქართველ შემსრულებლებთან ერთად შეასრულებს. ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება ბიძინა კვერნაძის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში გაიმართება, სადაც მსმენელს შესაძლებლობა მიეცემა, დატკბეს კომპოზიტორის უკვდავი შემოქმედებით.

წლევანდელი ფესტივალი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ბათუმის მერიის მხარდაჭერით ტარდება.

ხსოვნა

ივერი ბიჩინეიშვილი

გარდაიცვალა უბადლო პროფესიონალი, ერთგული მეგობარი და კოლეგა, ექიმი ივერი ილიას ძე ბიჩინეიშვილი. იგი 1957 წლის 8 სექტემბერს თბილისში დაიბადა.

1976-81 წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (კვალიფიკაცია - პათოლოგანატომი, კლინიკური პათოლოგი, თერაპევტი, ნევროპათოლოგი).

1981-82 წლებში ივერი ბიჩინეიშვილმა ინტერნატურა თბილისის სამედიცინო სახელმწიფო ინსტიტუტში გაიარა. 1983-1984 წლებში მან აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს პათანატომიის განყოფილებაში ექიმ პათანატომად იმუშავა, ხოლო 1984-1986 წლებში თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი პათანატომი გახლდათ.

1986-89 წლებში ივერი ბიჩინეიშვილი ბათუმის რკინიგზის საავადმყოფოს პოლიკლინიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

1989-1991 წლებში იგი ორდინატორის რანგში თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მუშაობდა, 1991-2002 წლებში კი თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში - ექიმ პათანატომად.

ამავე რანგში მან 2004-2010 წლებში ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრში იმუშავა.

ექიმი ივერი ბიჩინეიშვილი 2010 წლიდან გარდაცვალებამდე ჯანმრთელობის ცენტრ „მედინას“ ექიმი პათანატომი გახლდათ. მას აფასებდა და პატივს სცემდა მთელი მედპერსონალი, პაციენტები როგორც გულისხმიერ ექიმს და კარგ ადამიანს, რომელსაც როგორც სამედიცინო საქმიანობაში, ისე ადამიანებთან ურთიერთობაში ეტყობოდა ღრმა ერუდიციის, სპეციალური და ზოგადი განათლების კვალი. მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს კოლეგების, მეგობრების, მადლიერი პაციენტების გულებში.

აკაკი ბერიძე,
ჯუმბერ უნგიაძე

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 20/06/24, 19 ²⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ – პრემიერა შედგა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, 87-ე თეატრალურ სეზონზე, რიგით მეოთხე სპექტაკლის პრემიერა შედგა. ლუის კეროლის ნაწარმოების მიხედვით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა ირაკლი კიკვაძემ პირველ თოჯინურ სპექტაკლზე იმუშავა. ინსცენირებაც მასვე ეკუთვნის

სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა სანდრო ნიკოლაძემ, რომელმაც მუსიკა, სპეციალურად სპექტაკლისთვის, იაპონურ მოტივებზე შეიქმნა. მხატვრობა გიორგი გოგიტიძეს ეკუთვნის. რეჟისორის თანაშემწე ნანა თოლორდავაა. სპექტაკლში წარმოდგენილი იყო რამდენიმე სახეობის თოჯინა. მონაწილეობდნენ მსახიობები: სალომე ცაგურია, ვანო მაღლაკელიძე, ალექსანდრე გაბაიძე, მინდია ჩოხარაძე, სოფიო ცინცაძე და ლევან მიდილიში.

„ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სცენაზე სრულიად ახალი, განსხვავებული ინტერპრეტაციით გათამაშდა. ელისი იაპონელი თინეიჯერი გოგონაა, რომელიც ერთ დღესაც, ხელოვნურ ინტელექტთან საუბრისას, აღმოაჩენს, რომ დაიღალა და ბავშვობაში დაბრუნება სურს. სწორედ აქედან იწყება ახალგაზრდა ელისის თავგადასავალი. ამბის გმირებთან შეხვედრის დროს ელისს იმედები უცრუვდება, რადგან მოზარდ გოგონას ვერავინ სცნობს და ყველა მიანიშნებს მასში არსებულ ერთსა და იმავე პრობლემაზე. ელისი იწყებს ამ პრობლემაზე ფიქრს და საბოლოოდ აღმოაჩენს, რომ თავად არის შეცვლილი. სპექტაკლში გამოყენებული სხვადასხვა ტიპის თოჯინა განსხვავებულ და შთამბეჭდავ წარმოდგენას ქმნის. ორიგინალური მუსიკა, ტექსტის თანამედროვე ინტერპრეტაცია და მსახიობების ოსტატობა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს და გვიხატავს სამყაროს, სადაც მაყურებელი ელისთან ერთად მოგზაურობს საოცრებათა ქვეყანაში. სპექტაკლი გვესაუბრება და გვაფიქრებს ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა: მოზარდობის ასაკობრივი თავისებურება, სამყაროს აღქმა, შემეცნება, საკუთარი თავის ძიება და აღმოჩენა.

პრემიერას ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, საქართველოს თოჯინების სახელმწიფო თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკოლოზ საბაშვილი, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე, ასევე, აჭარის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი, მუზეუმების მმართველები, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ხელვაჩაურის სახალხო თეატრი და სხვები. მათ რეჟისორის პირველი თოჯინური სპექტაკლი შეაფასეს და შემოქმედებით ჯგუფს წარმატებული პრემიერა მიულოცეს.

დასასრულ რეჟისორმა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ, დირექტორ იმედა თავდგირიძესთან ერთად, სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა შემოქმედებით ჯგუფსა და თეატრს - მხარდაჭერისთვის, მოწვეულ სტუმრებს - წარმატების გაზიარებისთვის.

- ეს სპექტაკლი ეძღვნება ყველა მოზარდს, მათ შორის, ჩემს შვილსაც. ისინი ცხოვრების ყველაზე საინტერესო ეტაპზე არიან, როდესაც საკუთარი თავის დამკვიდრდება და სამყაროსთან სწორად შეგუება ხდება. ჩვენი სპექტაკლიც სწორედ ამაზეა, ჯერ მათ საკუთარი თავი უნდა შეიცნონ, რომ შეძლონ სწორი ადაპტაცია სამყაროსთან, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

- მოგეხსენებათ, ეს სპექტაკლი საკმაოდ დიდ სიღრმეებს ატარებს და ამ ყველაფრის სცენაზე გათამაშება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. თუმცა ვფიქრობ, მთელმა გუნდმა კარგად გავართვით თავი. მე თავად ვგრძნობ იმ ყველაფერს, რასაც ვთამაშობ, - გვითხრა მსახიობმა სალომე ცაგურიამ.

- ძალიან განსხვავებული სპექტაკლი იყო, ანიმეს ჟანრში გაკეთებული, არ ველოდით... მომეწონა მსახიობების ოსტატობა, ულამაზესი თოჯინები და საოცარი სანახაობა, ერთი სიტყვით - ძალიან ვისიამოვნე, დიდი ხანია არ მინახავს ასეთი კარგი სპექტაკლი, - გვითხრა თამარ ბერიძემ.

- ცხოვრება არ იცვლება თავისით, ცხოვრებას ვცვლით ჩვენ - ეს დასკვნა გამოვიტანე სპექტაკლიდან. ძალიან კარგი იყო რეჟისურაც, მხატვრობაც... ყველაფერი შთამბეჭდავი იყო, - გვითხრა ნინი ქათამაძემ.

საპრემიერო დღეს თეატრის ფოიეში შემეცნებითი ხასიათის ფოტოგამოფენაც გაიმართა. წარმოდგენილი იყო ლუის კეროლის პორტრეტი და ნამუშევრები, სადაც ლუის კეროლის, როგორც ერთ-ერთი პირველი საბავშვო ფოტოგრაფის, მთავარი მოდელი - ელისია.

„ლიმპოპო“ გოგი ცაბაძეს მოეფერა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ხელოვნების სტუდია „ლიმპოპომ“ (ხელმძღვანელი - ლეილა ალექსანდროვა, დამფუძნებელი - მუსიკოსი თამაზ ნიკოლაიშვილი) ბათუმელები საქართველოს უდიდესი კომპოზიტორის გოგი ცაბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელწიფო თეატრში მიიწვია

ეს იყო სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული საღამო, სადაც ამ ხელოვანის არაჩვეულებრივმა მელოდიებმა, რომელსაც პატარა „ლიმპოპოელები“ და მისი ყოფილი წევრები - უფროსი თაობა ასრულებდა, დაატკბო მსმენელი.

საღამო პოეტ ბელა ქებურიას მიჰყავდა, რომელიც დრო და დრო ქართველების საამაყო კომპოზიტორის ბიოგრაფიას გვახსენებდა.

გოგი ცაბაძის დაბადებიდან 100 წლისთავი 24 აგვისტოს შესრულდება...

კომპოზიტორი მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა - ორი და და ორი ძმა ჰყავდა. ოჯახმა 30-იანი წლების რეპრესიები იწვნია: მამა - გაბრიელი დახვრიტეს, ქონება კი კონფისკაციას დაექვემდებარა.

ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, მაგრამ სახიფათო გართობამ ფეხი დააკარგვინა - იგი ტრამვაის კიბეს შეახტა, კონდუქტორმა მთელი ძალით ჰკრა ფეხი, რის შედეგადაც გადმოვარდა და მარცხენა ფეხი ბორბლებში მოჰყვა... ამის შემდეგ პიანინო შეუძინეს და სამუსიკო სკოლაში შეიყვანეს. აღსანიშნავია, რომ გოგი ცაბაძემ ხუთწლიანი სკოლა ორ წელიწადში დაამთავრა. შესანიშნავად უკრავდა, ამასთან, მუსიკის წერაც დაიწყო. რა თქმა უნდა, მუსიკა მისი განუყოფელი ნაწილი გახდა და სწავლა სახელმწიფო კონსერვატორიაში განაგრძო, რომელიც, ოჯახის ერთადერთმა მარჩენალმა, მუშაობის გამო გვიან დაამთავრა.

გოგი ცაბაძე გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ქალაქური საესტრადო სიმღერების, საქართველოში ოპერეტების, მუსიკალური კომედიისა და მიუზიკლის ფუძემდებელი, საკუთარი სიმღერების უბადლო შემსრულებელი. მისი პირველი სიმღერა იყო „მარი“, რომელსაც მერი შილდელი ასრულებდა. კომპოზიტორის შემოქმედება, ძირითადად, პეტრე გრუზინსკისა და მორის ფოცხიშვილის პოეზიას უკავშირდება. ისინი სიცოცხლის ბოლომდე განუყრელ მეგობრებად დარჩნენ. ეკრანზე გიორგი შენგელაიას პირველი ქართული მიუზიკლის - „ვერის უბნის მელოდიების“ გამოსვლის შემდეგ, სადაც ცაბაძის მუსიკა ჟღერდა, ამ სიმღერებს მთელი საქართველო მღეროდა. მის ნაყოფიერ შემოქმედებაზე დიდი ზეგავლენა იქონია მეუღლემ - თამარ მაჭავარიანმა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბატონი გოგის კომპოზიტორად ჩამოყალიბებაში.

როგორი საოცარი სიმღერებიც ჰქონდა, ისეთივე საოცარი „გასვლა“ ჰქონდა ამქვეყნიდან: გარდაიცვალა სცენაზე, ოვაციების ფონზე - გულმა ვერ გაუძლო...

როგორც აღვნიშნეთ, არაერთი საბავშვო სიმღერა შეასრულეს (არა მხოლოდ საბავშვო) „ლიმპოპოელებმა“.

- გვინდოდა, ჩვენი პატარა სიტყვა გვეთქვა დიდი კომპოზიტორისთვის და ის საბავშვო სიმღერები, რომლებიც თითქოსდა ცნობილია, მაგრამ არ არის პოპულარული, ფართო საზოგადოების წინაშე გამოვიტანეთ. ბევრი ბავშვი პირველად იდგა სცენაზე, მაგრამ ღირსეულად წარსდგა მაყურებლის წინაშე, - გვითხრა ლეილა ალექსანდროვამ.

- ძალიან ვისიამოვნეთ, კარგი საღამო იყო. მადლობა ორგანიზატორებს, რომ ჩვენი საამაყო კომპოზიტორი ასე თბილად გაიხსენეს, - გვითხრა მსმენელმა ლუიზა გუნიამ.

მასშტაბური შოუ – ცენტრალურ სტადიონზე

16 ივნისს, ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ინიციატივითა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე მუნიციპალური სკოლამდელი დაწესებულებების სასკოლო ასაკის აღსაზრდელების გამოსაშვები მასშტაბური შოუ მოეწყო

საგამოშვებო ზეიმი უკვე მეორე წელია იმართება. წელს ღონისძიების პროგრამა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, თეატრალურმა დასებმა მუსიკალურ-გასართობი წარმოდგენები გამართეს. ბავშვებს საგზესასწაულო განწყობა შეუქმნეს ემილიამ და ყველასათვის საყვარელმა ჟირაფმა ჟოზემ. ზეიმში, ასევე, მონაწილეობდნენ აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული ანსამბლი „მერცხალი“ და ბსუის ბენდი „ოფსაიდი“.

შოუს დასასრულ ბავშვებმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს და მუსიკის თანხლებით ცაში 2500 ფერადი ბუშტი გაუშვეს.